



# აგროარული საქარსიკა

New  
ახალი

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი №10 (42), ოქტომბერი, 2014

## უმაღლესი ხარისხის სორბლისა და ძირის თესლი

### იყიდე

- ელიტური თესლისგან წარმოებული
- თანამედროვე დანადგარებზე განმუშავებული
- დაკალიბრებული
- მაღალხარისხიანი პრეპარატით დამუშავებული

წარმოებულია აგროარული  
უნივერსიტეტის საცდელ ბაზებზე

☎ 591 97 80 80  
551 77 24 84

# გრანულირებული სასუქი იტალიიდან

N-G000 30+36% SO<sub>3</sub>

NPK 15-15-15+5% SO<sub>3</sub>

NPK 8-24-24

## სასუქის ახალი სერია

**შეიცავს:**

გოგირდს – ამინომჟავების ბიოსინთეზის საწყის პროდუქტს;

დიცანამიდს – ინჰიბიტორი, მონაწილეობს აზოტის ფიქსაციაში

**უდანაკარგო აზოტი :**

არ ხდება აზოტის ჩარეცხვა ნიადაგის ქვედა ფენებში მაღალი ტენიანობის პირობებში ან მისი აორთქლება მშრალი ამინდის პირობებში



**AgroVitae**

თბილისი, წერეთლის გამზ. 142, მე-2 სართ, ოთ. №15

ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ: 597 170 772, 597 170 702, 597 170 706

ელ. ფოსტა: info@agrovitae.ge

ახალი აგარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

ოქტომბერი, 2014 წელი.

№10 (42)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგზარ ებანიძე, რეზო ჯანშიძე, მიხეილ  
სოხაძე, თამარ სანიაცი, ნოდარ ბრეგვაძე,  
გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-  
მედიცინის რედაქციის რედაქტორი),  
თამთა გუგუშვილი (ინგლ. ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რეკვან მახარობლიძე (თაქვადმარე),  
ნოდარ ჩხარტიშვილი, გურამ ალექსიძე,  
ნუგზარ ებანიძე, პაატა კოლაშვილი,  
ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი,  
ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ  
ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო  
კანნიშვილი, ადოლ ტყემელაშვილი, ნატო  
კაკაბაძე, კუკური ძეგია, კახა ლაშვი, ომარ  
თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, დავით ბე-  
ღია, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე,  
კობა კობალაძე, ნუკრი მემანნიშვილი.

გამომცემელი:

„აგარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური  
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონია“;

Regionica – Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.regionica.org/journal.html](http://www.regionica.org/journal.html)

[agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიელი“

(ციფრული ბიბლიოთეკა)

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

ახალი აგარული საქართველო

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with  
the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)

ნომარში წაიკითხათ:



7

უანგანო სტრატეგია. გულწრფელი  
თუ მოჩვენებითი?

მასობრივი უმუშევრობისა და სილა-  
რიბის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ  
ე.წ. კომერციალიზაციით ვერ გახდება  
დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლო-  
ბის საფუძველი.



20

სადან ნახევარი საქართველოს  
ზრომისუნარიანი მოსახლეობის  
დასაქმება შეიძლება

მშვიერმა ქვეყანამ გონიერი ხელი-  
სუფლების ხელში ქარხნის აშენებაც  
შეძლო და შოშველი ხელებით და კავით  
შაქრის ტარხლის (ქვეყნისათვის ახალი  
კულტურა) მოყვანაც ისწავლა.



27

ყოჩაღ, ზურა!

ზურა მასურაშვილისთან ბიჭები  
სჭირდება დღეს საქართველოს, ამიტომ  
მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ!

4

წლავს კახეთში 34 ათასზე მეტსავე  
შრომის რეალიზაციით 153 603 427  
ლარი მიიღო

4

სოფლის მოსავლიანობის საშუალო  
საკმატარო მაჩვენებელი საქართველოში  
არანახევარად მაგალია

5

საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის  
ცვლილება და სოფლის მეურნეობის  
გეგმვა და უსაფრთხო განვითარება“

14

საქართველო კიდევ ერთ ვერცხულ  
ორგანიზაციაში განვითარდა

15

კოოპერატივის რაოდენობა  
იზრდება

16

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის  
მოზღვრობა და ხელის სათესპირო  
ურთველყოფის პროგრამა“

17

სოფლის კანონი „სასოფლო-  
სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“

22

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია ვერცხლის  
სოფლის მეურნეობის აკადემიის  
კავშირის წევრია

22

საერთაშორისო კონფერენცია  
კავშირის გადამწყობილობით,  
კავასიური ნაპარსი /თარბი/  
წარმოების შემსახარ საქართველო

23

როსა ჯეფიცი შესაძლებლობას აღივსება

25

როგორ დავამტკიცოთ პროდუქციის  
გამოყვანილი ვებინარული ღონისძიება  
სოფლის მეურნეობაში

28

ჩინური

29

„ჯვარი“ - ვაზის მიყვანის კვლევის  
ქართული ჯიშები

30

საკალკანა მეურნეობის მშენებლობის  
დაგეგმვა

32

შემოდგომის თვის გასაშვავალი  
ფოთლიდან არაბრადისიული საკვების  
[ნაპარსი] დაზოგვის პროგრამის  
ინიციატივა

34

ADRIATIKA - კოვანია,  
როგორც მშენი ინოვაციური პროდუქტის  
თქვანი წარმატებისთვის

გამომცემელმა შინაგანი „ახალი აგარული საქართველო“  
პრესის გეგმვაში საუბარსწავლაში:

„ელვაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74);  
„საძვრისა“ (0 (32) 2518518).

1 წლით ჟურნალის გამოცემა ღირს 24 ლარი,  
6 თვით – 12 ლარი.

ჟურნალი „ახალი აგარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან.



# წლეულს კახეთში 34 ათასზე მეტენახემ ყურძნის რეალიზაციით 153 603 427 ლარი მიიღო

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, „რთველი-2014“ კახეთის რეგიონში დასკვნით ფაზაში შედის. 4 ოქტომბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში 34 ათასი მევენახის მიერ ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 153 603 427 ლარი შეადგინა.

დღევანდელი მონაცემებით, კახეთის რეგიონში 240 გლეხმა (თითოეულმა) 100 000 ლარამდე შემოსავალი მიიღო (მინიმალურმა თანხამ 50 119 ლარი, ხოლო მაქსიმალურმა – 99 949 ლარი შეადგინა.) 112 გლეხმა (თითოეულ-

მა) 100 000 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო (მინიმალური 100 659 ლარი, მაქსიმალური – 487 793 ლარი). ამ დროისთვის უკვე 114 809 ტონა ყურძენი გადამუშავებული.

ცნობისათვის, შარშან, 2013 წელს 92 371 ტონა ყურძენი გადამუშავდა და შემოსავალმა რაჭასა და კახეთში 108 მილიონ ლარს გადააჭარბა.

წლეულს საფერავის ჯიშის ყურძენზე რეკორდულად მაღალი ფასი დაფიქსირდა. გადამუშავდა 39 121 ტონა საფერავი. მხოლოდ საფერავის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 77 მილიონ ლარს მიაღწია.

## მკიმა სტატისტიკა

# სორბლის მოსავლიანობის საშუალო საკმეტარო მაჩვენებელი საქართველოში არნახულად დაბალია

„საქსტატის“ მონაცემებით 1913 წელს საქართველოში სორბალი 168 200 ჰექტარზე დაითესა, საიდანაც 118 200 ტონა მარცვალი აუღიათ, ანუ ჰექტარზე საშუალოდ – 7 ცენტნერი. მეორე მსოფლიო ომის წინ, 1940 წელს სორბალი 232 800 ჰექტარზე დაუთესიათ და მთლიანად 102 700 ტონა მარცვალი, ანუ ჰექტარზე 4,3 ცენტნერი აუღიათ.

ომის შემდგომ პერიოდში ხორბალი 231 800 ჰექტარზე ყოფილა დათესილი, საიდანაც 176 700 ტონა მარცვალი – ანუ ჰექტარზე 7,6 ცენტნერი გაუღენიათ, რაც უკიდურესად დაბალი მაჩვენებელია, თუმცა ეს შეიძლება ობიექტური მიზეზებით აიხსნას. საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ არ იყენებდნენ მინერალურ სასუქებს, არ იყო შესაბამისი პირობები, აგროტექნიკა... გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ქვეყანაში ხორბლის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა თანდათან დაიხვეწა, სელექციის შედეგად შეიქმნა და დარაიონდა უხვმოსავლიანი ჯიშები. 1985 წელს ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა უკვე

23 ცენტნერს აჭარბებდა, ხოლო 1990 წელს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 29,3 ცენტნერამდე გაიზარდა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

2001 წლის შემდეგ ხორბლის შედარებით უხვი მოსავალი 2003 წელს მოვიწინეთ. მას შემდეგ დარგის შეუქცევადი დეგრადაცია დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. კერძოდ, 2003 წელს ხორბალი 117 ათას ჰექტარზე დაითესა, მივიღეთ 225 ათასი ტონა მოსავალი. მაშინ თვითურუნველყოფის მაჩვენებელმა 24% შეადგინა. 2007 წელს ხორბალი 45 ათას ჰექტარზე დაითესა, მოსავალმა კი 75 ათას ტონას მიაღწია. ამ დროს

ხორბლით ქვეყნის თვითურუნველყოფის მაჩვენებელი 18,9%-მდე შემცირდა. 2008 წელს ხორბალი 48,6 ათას ჰექტარზე დაითესა, საიდანაც ფერმერებმა 80 ათასი ტონა მარცვალი აიღეს. თვითურუნველყოფის მაჩვენებელი დაახლოებით 12% იყო, 2010 წელს კი თვითურუნველყოფის მაჩვენებელი 9%-მდე შემცირდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყანაში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ჰექტარზე 13 ცენტნერის ფარგლებში მერყეობდა, წლეულს კი ეს მაჩვენებელი უკიდურეს ზღვარს ჩამოსცდა, რაც ანომალურმა სიცხებმა და არა კონდიციური/არასერტიფიცირებული სათესლე მასალის თესვამ გამოიწვია (წლეულს საშუალოდ ჰექტარზე დაახლოებით 20 ათასი ტონა ხორბალი მოვიდა, ჰექტარზე საშუალოდ – 2,4 ცენტნერი).

ბოლო წლებში ხორბლის ნათესები თითქმის სამჯერ შემცირდა, გაუარესდა მოსავლიანობა. ამკარაა, რომ ქვეყანაში ამ კულტურის როლი და მნიშვნელობა ჯეროვნად არ არის შეფასებული და გაცნობიერებული. ხორბალი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის მთავარი განმსაზღვრელი კულტურაა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ კრიტიკულ მომენტებშიც კი მარცვლულს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარ-



ხორბლის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (ათასი ჰექტარი)								
	2006წ.	2007წ.	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.	2012წ.	2013წ.
საქართველო	58,7	45,4	48,6	57,5	50,0	47,0	50,0	45,0
შიდა ქართლი	7,4	2,9	8,2	13,3	8,4	12,9	5,6	3,0
კახეთი	36,4	37,1	29,2	35,8	30,8	22,5	30,8	33,7
ქვემო ქართლი	11,1	3,9	7,2	5,9	8,5	8,1	9,5	6,3
დანარჩენი რეგიონები	3,8	1,5	4,0	2,5	2,3	3,5	4,1	1,9

ჩუნდება შეუძლია. მარცვალ ადვილად შესანახია, რაც მისი დიდი უპირატესობაა. იოლია სტრატეგიული რეზერვების შექმნაც. ამასთან, იგი პირდაპირ უკავშირდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და შიდა მატერიალური დოვლათის შექმნას.

დღეს ქვეყანამთლიანად იმპორტირებულ ხორბალზე დამოკიდებული, არადა გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში არახელსაყრელი კლიმატური (გლობალური დათბობა) თუ სხვა ფორსმაჟორული პირობების გამო შეიძლება ხორბლის რესურსი იმდენად შემცირდეს, რომ ხორბლის შექმნა გაჭირდეს და ჩვენ მარცვლის გარეშე დავრჩეთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხორბლის გენეტიკური პოტენციალი შენარჩუნდა, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება ძალიან გართულებდა, რადგან კლიმატის ცვლილება მომდევნო ათწლეულების მანძილზე მოსავლიანობას დიდი სირთულეების წინაშე დააყენებს.

ცხადია, გამოსავალი ხორბლის ადგილზე წარმოებაა, მაგრამ, როგორც წესი, ჩვენთან წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულზე ძვირია.

ხორბალი ერთწლიანი კულტურაა და დათესვის პირველსავე წელს იძლევა მოსავალსაც და ფინანსურ შედეგსაც, მაგრამ იმისთვის, რომ მარცვლეულის წარმოება ხელსაყრელი გახდეს, ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს ხორბლის ნათესი ფართობების მოცულობა და საშუალოდ მოსავლიანობა, იმპორტი მკვეთრად შემცირდეს. საამისოდ რეალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაა საჭირო, რაც მეხორბლე ფერმერებთან ერთად უნდა გაკეთდეს. საქართველომ მარცვლეულზე საკუთარი მოთხოვნილება თავადვე უნდა დააკმაყოფილოს. ქვეყანაში ამის რესურსი არსებობს, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ!

**აპხა ლაშვი,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი.

**ნოდარ ჯავახიშვილი - 60**

ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გავიცანი, თბილისის ბირჟას ხელმძღვანელობდა. ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა ის იყო იდგამდა ფეხს. მაშინ გაზეთ „რესპუბლიკის“ ეკონომიკური მიმოხილველი ვიყავი, ვუწინაღობდებოდა ბევრი სიახლის გაგება და სწავლა გვიხდებოდა, ბატონი ნოდარი არასდროს გვზარდებოდა რთული საკითხები მარტივად აეხსნა. მძიმე ჟამი იდგა. სამოქალაქო ომში მყოფი ქვეყანა გამოუვალ ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე იდგა. სწორედ ამ პერიოდში დაინშნა იგი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

მაშინ ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა შეუძლებელი შეძლო – იმიჯშელახული ქართული საბანკო სისტემა ფეხზე დააყენა და ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე პროგრესულად მზარდ ინსტიტუტად აქცია.

წლეულს, ოქტომბერში, ბატონ ნოდარ ჯავახიშვილს 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ მადლობას უხდის ღირსეულ ადამიანს ქვეყნის წინაშე განწეული ღვაწლისთვის, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ოჯახთან ერთად.

*ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქცია;*  
*შოთა გაჭარაშვილი,*  
*მთავარი რედაქტორი*

**მეცნიერება მომავლისათვის**

**საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის სვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება“**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. კვეციტაძე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2014 წლის 2, 3, და 4 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება“ ჩაატარა.

კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოწვია არა მარტო საქართველოში მოღვაწე, არამედ საზღვარგარეთის აგრარეკოს მეცნიერებში. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთის ფედერაციის და მათ შორის დაღესტნის და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მეცნიერებმა.

კონფერენციით დაინტერესდნენ და მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა FAO, ICARDA, CACAARI, BACSA და ა.შ.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, საქართველოს ტექნიკური, აგრარული, ბათუმის შ. რუსთაველის, ქუთაისის ა. წერეთლის და გორის სუხიშვილის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. გარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა, მონაწილეობდნენ ფერმერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვა დაინტერესებული პირები.

**მუშაობა ორ დარგობრივი სექციაში (მიმართულება-ში) წარმართა:**

1. კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცნიერებაში;

**1.1. ქვესექცია - აგროინჟინერია;**

2. კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცხოველეობაში.

კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული, ინგლისური, რუსული.

კონფერენციაზე მთლიანად წარმოდგენილი იყო და შრომათა კრებულში შეტანილი იქნა 142 სამეცნიერო სტატია, მათ შორის სექციების მიხედვით:

1. სექცია კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცნიერებაში – 95 სტატია.

2. ქვესექცია: – აგროინჟინერია – 22 სტატია

3. სექცია: კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცხოველეობაში – 25 სტატია.

კონფერენცია გახსნა და სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე. კონფერენციას და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. კვეციანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ი. ნოზაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე გ. სომხიშვილი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. ფუტყარაძე, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დეპარტამენტის უფროსი ი. ნოსელიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტ. ლ. უჯმაჯურიძე, საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, გაეროს კოორდინატორი შუა აზიაში, FAO-ს წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციების ICARDA, CACAARI-ის ხელმძღვანელები.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე და სექციებში მუშაობის დროს მეცნიერებმა იმსჯელეს იმ ძირითად პრობლემებზე, რომელიც სოფლის მეურნეობის წინაშე დგას ან დადგება კლიმატის გლობალური ცვლილებების დროს და

ამ პრობლემებთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შესახებ.

კონფერენციამ, გამოიკვლია და გააანალიზა რა, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ სოფლის მეურნეობაზე, სერიოზულ პრობლემად აღიარა ეს პროცესი; შესაბამისად, მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელსაც „თბილისის დეკლარაცია“ ეწოდა და რომელშიც ხაზგასმულია აგროეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ერთობლივი მიდგომების გავრცელების აუცილებლობა ყველა ქვეყნისთვის, აღიარებულია ამ საკითხებზე კონფერენციების სისტემატური ჩატარების ინიციატივის მნიშვნელობა და სამომავლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად ჩამოყალიბებულია გზები.

აღინიშნა, რომ კონფერენცია, აღიარებს რა სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების ფართო ადაპტაციის მნიშვნელობას, მოუწოდებს კონფერენციის მონაწილეებს, ფერმერებს, ყველა დონის პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, აქტიურად ჩაერთონ საპარტნიორო კვლევებში;

უნდა მოხდეს კლიმატის ცვლილებების მეცნიერებასა და მეცხოველეობაზე გავლენის შესახებ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის პოტენციალის გაძლიერება იმ მიმართულებით, რათა ეს მონაცემები და პროგნოზები ხელმისაწვდომი იყოს საბოლოო მომხმარებელთათვის მათი მოღვაწეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

უნდა გაძლიერდეს კლიმატის ცვლილებებზე მორგებული მონიტინგ რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შერჩევა-დამუშავების ღონისძიებები, აგრეთვე გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალმოსავლიანი, დაავადებების მიმართ მგრძობიარე კულტურების მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი რეზისტენტული და გვალვაგამძლე ჯიშებით ჩანაცვლებას.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომ კლიმატის ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ჩატარდეს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები დაინტერესებულ ქვეყნებში. კონფერენციის ჩატარების ადგილს, დროს და თემატიკას განსაზღვრავს ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი.

**ილმუზა შაფაძიძე,**  
**სსმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი,**  
**აკადემიის წ/კ, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.**



კონფერენციის სხდომათა დარბაზი.

# უანხანო სტრატეგია. გულწრფელი თუ მოჩვენებითი?

**(სოფლის მეურნეობის მთავარი პროდუქტი ჩვენ,  
ჯანსაღი და წალბაგარეული გლახობა პართ)**



საქართველოს აბრარულ სფეროში შექმნილი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა ოპტიმისტურად მოითხოვს საბანკაგო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის სისტემური განვითარების (რომელსაც თავაზად შეიძლება ეწოდოს სოფლის გადარჩენის) სტრატეგია.

ქვეყნის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი და დინამიკური განვითარებისთვის საჭიროა, ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზება, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების (1-3 წ.) ამოცანები (კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებებით საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (5-10-15 წ.) მიზნების გათვალისწინებით ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა, სურსათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ არც ერთი თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის იმედად არ ტოვებს (ისინი უარს ამბობენ სუბსიდირების სისტემის დაქმნებაზე, რის გამოც „დოპას რაუნდი“ უფრომდე ჩიხშია შესული) და სხვა მრავალი სახის დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას, რადგან სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ამოცანაა, რომლის გადაჭრაში მთავრობას გადამწყვეტი როლი ეკისრება. სახელმწიფოს ხელშემწყობი ფუნქცია დარგის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე (როგორი წარმატებითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი) არასოდეს კარგავს თავის აქტუალობას<sup>1</sup>. იგი აყალიბებს მკაფიო პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. საქართველომ სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. პრიორიტეტები ამ სფეროში ორი მიმართულებითაა. პირველი:

სასურსათო უსაფრთხოების (უშიშროების) უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მეორე: სოფლის, როგორც ყოფაცხოვრების და როგორც ტერიტორიის შენარჩუნება.

მაგალითები იმიტომ არ მოგვიტანია, რომ ჩვენც ზუსტად ასე უნდა მოვიქცეთ. აქ მთავარი ტენდენციის გაზიარება და იმის გაკეთებაა საჭირო, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს. სწრაფად განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს არა რომელიმე მიმართულების, არამედ ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების რაციონალური შეთანხმების უპირატესობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ერთი ეკონომიკური პოლიტიკისადმი უპირობო ერთ-

გულეა საბაზრო ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია პრაგმატული, ეკონომიკური დოგმებისგან თავისუფალი ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება მოცემულ პირობებში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა ორმა ათწლეულმა პრაქტიკულად ამკარა გახადა, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მიძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ე.წ. კომერციალიზაციით ვერ გახდება დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი<sup>2</sup> შესაბამისად, დაუშვებელი იყო და არის მხოლოდ ამ საწყისებზე სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო

1. ბოლო წლებში სახელმწიფოს მარეგულირებელი მეთოდების გაძლიერება, მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევებითაა განპირობებული. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით მსოფლიოში სურსათის მწვავე დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც გამოიწვევს მომომიწილე ადამიანების რიცხვის ზრდას. გაერო-სა და მსოფლიო ბანკის (IMB) მონაცემებით დედაამინაზე დასრულდა იაფი საკვების წარმოების ეპოქა. დასახელებულ გამოწვევებს თავის მიზეზები აქვს, რასაც განვითარებული თუ ნაკლებ განვითარებული ქვეყნები მძლავრი პრევენციული ზომებით უპასუხობენ. იაპონიამ სოფლის მეურნეობისადმი დახმარება დარგის მთლიანი შიდა პროდუქტის - 78, ნორვეგიამ - 80, აშშ-მ - 29, ევროკავშირმა - 33 პროცენტამდე გაზარდეს, იაპონიამ სოფლის მეურნეობაში გაცემულ კრედიტებზე პროცენტი ნულამდე, ხოლო აშშ-მ და ევროპის რიგმა ქვეყნებმა 2,5 პროცენტამდე დანია.

2. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისუფალი ბაზარი საქართველოს სოფლის მეურნეობას ვერ დააღაგებს თუნდაც მისი მრავალდარგოვნობის გამო. რთული ვერტიკალური ზონალობისა და ნიადაგურ-კლიმატური მრავალფეროვნების გამო, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა და 3 ქვეზონაა გამოყოფილი. საქართველო არ არის ყაზახეთი ან თუნდაც თურქმენეთი, სადაც სოფლის მეურნეობა რამდენიმე დარგითაა წარმოდგენილი, რომლებიც შესაძლოა დროთა განმავლობაში, საბაზრო მექანიზმების ზემოქმედებას დაექვემდებაროს. საქართველოს სინამდვილეში, აგრეთვე, გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობაში მრავალწლოვანი კულტურების მაღალი ხვედრითი წილი, რომლის რესტრუქტურირება განვითარებულ ქვეყნებშიც კი მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენს მოსახლეობას არ გააჩნია საბაზრო გარემოში არათუ მთლიანი საწარმოო ჯაჭვის, არამედ მისი ცალკეული პროცესის მართვის გამოცდილება. თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ადეკვატური ქმედებებისთვის საჭირო თვისებებისა და რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური, ტექნიკური და სხვა) უქონლობის გამო, აგრეთვე დაკარგა ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარი, რომლის უამრავი მაგალითი არსებობს და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, არ უნდა დაგვაფიწყდეს სოფლის მეურნეობის მენტალიტეტი, რომელიც უპირატესად სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული და რასაც ჩვენზე უკეთ უცხოელები ითვალისწინებენ, როცა ბიზნესის დანეჭამდე პრემიერ-მინისტრთან ან მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებთან შეხვედრას ცდილობენ.



პოლიტიკის აგება (თვით ვმო-საც კი დაწესებული აქვს ამ დარგის სუბსიდირების საზღვრები, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგრამ ჩვენ მას, სხვებისგან განსხვავებით, არ ვიყენებთ, რის გამოც მიღებული უარყოფითი შედეგები დიდი ხანია გასცდა ყოველგვარი გონივრულობის ზღვარს), რაც პრაქტიკულად ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არარსებობასა და პროცესების თვითდინებაზე მიშვებას ნიშნავს.<sup>1</sup>

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ გლუხკაცს, ქართული მიწის მთავარ მეურვეს დღეს არ უღიხნს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სოფელში არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში 2004-2012 წლებში მთავრობის მონაწილეობის ნეგატიური როლითაა განპირობებული. კერძოდ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და სანარმოო ინფრასტრუქტურა. სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია.

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას პროდუქციის სიუხვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. იგი, პირველ ყოვლისა, გამოიხატება სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს მელიორაციის, ზოოვეტმომსახურების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ქიმიური საშუალებების, სანავის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა ნახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება და მარკეტინგული დახმარება. ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს შექმნას. ასევე, მნიშვნელოვანია დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის სანარმოო ბაზის

გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამმუშავებელ სანარმოებთან კოოპერირების სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა (ნარმოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა).

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია“ (2014-2020 წ.წ.). ქვეყანაში მანამდეც არსებობდა რამდენიმე მსგავსი შინაარსის დოკუმენტი, მათ შორის ოფიციალურად აღიარებულიც (1997 წ.), მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, არც ერთი არ განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა მისი ავტორიზაციის შესახებ.

რაციონალურად დაბალანსებული სასოფლო-სამეურნეო სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არსებული სიძნელეების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება სოფლის მეურნეობის სფეროში.

არსებითია, რომ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების საჭიროება. ამიტომ ამ მიზნით ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა, რომელიც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა – გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდება, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა სოფლის მოსახლეობის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვება მისი შრომის მოტივაციის სტიმულირება, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა შემცირება. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული, რადგან მათ კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

გლუხკაცი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. გლუხკაცის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანელი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მოწოდებაა ის, რომ იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის

1. სახელმწიფო სტრატეგია არის მოქმედების ძირითადი მიმართულება. წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი, მიღებული სტრატეგია, მით უმეტეს, ოფიციალურად გაცხადებული, რომელმაც უკვე მოახდინა, სახელმწიფო აპარატისა და ძალისხმევის ორიენტირება სათანადო მიმართულებით, მთავრობისთვის გარკვეულწილად სავალდებულოც ხდება.



ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ.

ვისაც დღეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის დაგეგმვა და მართვა ავალია, ამის დაფიქსების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

- სოფლის, როგორც საზოგადოების, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი;

- (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;

- ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

- შთამომავლობის მრავალრიცხოვნობასა და მაღალხარისხიან ალზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

- ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

- თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

- უზრუნველთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;

- უზრუნველთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

- გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, სანავიგაციო მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცაფ-მაცივართან და ა.შ.);

- თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

რა ხდება ჩვენთან ამ მხრივ?

სადღეისოდ საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული ქართული სოფლის დახმარების ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლის ქმედითუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს. უზრუნველყოფს ერთის მხრივ – ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას და მეორეს მხრივ – აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. სამწუხაროდ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში განეული ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალი ქმედითუნარიანობის მქონე, ან სულაც უკუშედეგის მომტანი, როგორც ხდებოდა ამ ბოლო ათწლეულებში.

სწორედ ასეთ სტრატეგიულ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე, ძირითადად, შპს-ებზე მოდის და მათ შორის არ არის არცერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივების იმუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადეკვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაიძულებს განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ცალსახად და კატეგორიულ

ლად უნდა განსაზღვროს – რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად, რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ გლეხობისაგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, კარტელურ ბარიერად გლეხობასა (მინის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა.

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (პარცელურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფტხზე დადგომისათვის. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცოლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ხელისუფლების ამოცანებში.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიღება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს





ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის არსებითი ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში ნეგატიურად აისახება ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე. კერძოდ:

კანონმა არ გაითვალისწინა არანაირი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოდან კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ და რომელიც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კოოპერატივებზე და არანაირ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერატივების განვითარების სერიოზული პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს პროცესი განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მაღალმთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მკვეთრად უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები; კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ არ ხდება კოოპერატივის შიდა სანარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი ნუსების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომელიც მეპაიოს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაციის დონე, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. სწორედ ამ ორი კომპონენტის – შრომითის და მატერიალურის ორგანული შერწყმით, (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულებაა არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

1. კანონი ძალიან მოსუსტებს ეკონომიკურ-ფინანსური კუთხით. მასში არაა წამახალისებელი მუხტი. არ ჩანს კარგად ორგანიზებული მუშაობის შემთხვევაშიც კი რა შედეგი დაუდგება კოოპერატივებს. ასეთი კანონი ვერანაირად ვერ წახალისებს სოფლად კოოპერაციულ მოძრაობას.

ამ მიმართულებით ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შეტანით, როგორცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრობა და სხვ., ახდენენ კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდასანარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად (მათ შორისაა პოსტსაბჭოური ქვეყნები: უკრაინა, ბალტიისპირეთის, ბელორუსია, რუსეთი, ყირგიზეთი) მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასანარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მარგანიზებელი და ხელშეწყობი ფუნქცია.

ეროვნული მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარების სტრატეგიაში, როგორც წესი, იგულისხმება სრულყოფილი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საფუძველზე იმ ძირითადი ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება, რომელმაც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა უზრუნველყოს დარგის მდგრადი განვითარება. ამ მიზნით მასში ასახული უნდა იქნეს როგორც ფუნქციონალური, ასევე დარგობრივი პრიორიტეტები და მათი რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს ხელშეწყობი ძირითადი ღონისძიებები როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე (მ.შ. ბაზრის სტრუქტურული სრულყოფა და მისი ნეგატიური შედეგების ნიველირება ფაქიზი კორექციის გზით).

წარმოდგენილ სტრატეგიაში არ არის განსაზღვრული, სოფლის მეურნეობის რომელი და როგორი მოდელი ესაჭიროება დღეს და სამომავლოდ საქართველოს. იგი მოკლებულია არა მხოლოდ ადეკვატურ ზოგად ხედვას, არამედ კონკრეტულ სახეს, მასში გააზრებული არაა მისი რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯები, დასახული ღონისძიებების განხორციელების ვადები, ეტაპები და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ამ მიმართულებით კარგი ნაბიჯი იქნებოდა **თუ საქართველოს მთავრობა შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას და სოფლის განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, კვლევების, ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშეწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.**

აგროსექტორში კვლევა დღეს არა იმდენად ტექნოლოგიების მექანიკურ გადმოტანასა და დანერგვას სჭირდება, რამ-

დენადაც კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების და სხვა გამოწვევების გათვალისწინებით ისეთი კვლევების ჩატარებას, რომელიც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციულ ღონისძიებებთან იქნება დაკავშირებული. მათ შორისაა ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილება და სპეციალიზაცია შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით და ა.შ., რაც წარმოდგენილ სტრატეგიაში საერთოდ არ ჩანს.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ანსხვავებს: **1) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებაში და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა – სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; 2) კვლევითი სისტემა არ შედეგება იურიდიული პირებისგან.** დასავლური პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეისათვის შექმნილ სიტუაციაში სახელმწიფომ ბაზარზე რამდენი მიწაც არ უნდა გაიტანოს გასაყიდად, მასზე ადგილობრივი მენარმის მოთხოვნა ნაკლებად იქნება, სათანადო ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სოფლად საქონელმწარმოებელს მაშინ გაუჩნდება მოთხოვნა, როცა ამ მიწაზე წარმოებულ პროდუქტიაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა, რაც დღეისათვის ქვეყანაში დამკვიდრებული საბაზრო კონიუნქტურის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. **სოფლის მეურნეობის მიწაზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის ფუნქცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა დაეკისროს, ნაცვლად ეკონომიკის სამინისტროსი.**

მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მიდგომები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების მიმართ („გრუზინპრომი“, აკურის ღვინის ქარხანა, ლაგოდეხისა და აბაშის რაიონებში განთავსებული მარცვლეულის საშრობი საწარმოები და სხვ.) და შეფასდეს ისინი, როგორც მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტური და მასშტაბური განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მიუღებელია მათი აუქციონის წესით გაყიდვა ან ამ საწარმოებში ე.წ. „ინვესტორების“ შეშვება სოლიდური წილით, გადაიარაღების ან სხვა ნებისმიერი მოტივით. ამ შემთხვევაში საწარმოო კოოპერაციისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი სიკეთე (შემოსავლების ინტენსიური ზრდა, დემოკრატიული და სამართლიანი სოციალ-ეკონომიკური გარემოს ფორმირება) პრაქტიკულად დაიხურება ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის და მოხმარდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კიდევ უფრო გამდიდრებას. სახელმწიფო საწარმოები უნდა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს გრძელვადიანი იჯარის ფორმით, ხოლო ინვესტიციები – ახალი ტექნოლოგიების დაწერვის ან სხვა მიზნებით „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრაციის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის

ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. **საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.**

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სათანადო კონდიციაში მოყვანა და მისი რეალიზაცია უდავოდ გახდება ქართული სოფლის აღორძინებისკენ შემობრუნების ათვლის წერტილი. სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობაზე საჭირო იქნება სათანადო მონიტორინგის დაწესება, რომელიც ძირითადად უნდა დაეფუძნოს მისი რეალიზაციის შეფასების ისეთ განმაზოგადებელ კრიტერიუმებს, როგორცაა, აგროსასურსათო სექტორში რეალურად დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებულ დარგებში პროდუქციის წარმოების გადიდება, სურსათის ექსპორტის და იმპორტის მოცულობათა განწინაურებული თანაფარდობა, შრომის მწარმოებლურობა და სხვა აგრეგირებული მაჩვენებლები. ამასთან ერთად, სტრატეგიის რეალიზაციის მიმდინარეობის პერიოდულად შეფასება და აუცილებლობის შემთხვევაში მასში სათანადო კორექტივების შეტანა უნდა ხდებოდეს აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს გადწყვეტილებით.

მთავრობის მარეგულირებელი ფუნქცია ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მეურნეობრიობისთვის საჭირო პირობებისა და ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რომელიც მყარ გარანტიებს შექმნის კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბების, სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრის და სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინებისთვის.



მიგვაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. **სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას**), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით



ერთბამად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭიროა.

**აქვე გთავაზობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამოქმედო გეგმის (სტრატეგიის) ძირითად მონახაზს.**

**ხედვა** – კონკურენტუნარიანი აგრარული სექტორი – ქვეყნის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოება) ძირითადი გარანტი;

**მისია** – მდგრადი განვითარების პრინციპებისა და, მაღალინტენსიური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, აგროსასურსათო სექტორის სწრაფი განვითარება და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. სასოფლო რაიონების დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

**ბადასაწყვიტი პრობლემები:**

- სოფლის სტატუსის განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირება;
- სოფლის მეურნეობის სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელი მრეწველობის სანარმოებთან აგრარულ სანარმოთა (კოოპერატივთა) ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა;



- აგრომწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილებზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება;
- ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სოფლის მეურნისათვის მინათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია;
- ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე (ფასების

პარიტეტის დადგენის, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემის გამოყენებით, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარება);

- აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ემო-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**სამოქმედო გეგმა**

I. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაცია:

ა) „სოფლის სტატუსის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

გ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა სანარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბება, მათთვის სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით;

II. სოფლის მეურნეობის სანარმოო და არასანარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ა) სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სათესლე და სანაშენე სანარმოთა რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა;

დ) აგრონედლეულის გადამამუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სანარმოთა სიმძლავრეების რეაბილიტაცია აგროსექტორის განვითარების შესაბამისად;

ე) სასაწყობო, სამაცივრო და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ვ) განვითარებულ ქვეყნებში არსებული უახლესი მანქანათა სისტემების (მათ შორის, სამთო მინათმოქმედებისთვის) გადმოტანის და ათვისების მიზნით, სოფლად ტექნომოსახურეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

ზ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

III. სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ადგილზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება; ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის შექმნა;

ბ) ფერმერთა გადამზადება სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

გ) აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მონინავე უმაღლეს სასწავლებლებში;

დ) აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის განყვეტილი კავშირის აღდგენა ურთიერთმისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.

IV. სოფლადსაქონელმწარმოებლებისთვის მინათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია:

ა) „მინათმოქმედის სტატუსის მინიჭების და რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მთავრობაში დამტკიცება.

ვ. ეკონომიკური მექანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემების ფორმირება იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის:

ა) „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

გ) „აგროსექტორში გამოყენებული მანქანა-მონწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანამუხე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით:

ა) ვმო-სგან მონიჭებული უფლებების – ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასების და ბაზრის დამცავი ლონისძიებების – გამოყენებით ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით:

ა) საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას;

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი, ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორობის (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით ბაზარზე ინტერვენციისა და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურის შექმნა (ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის სფეროში);

**დასკვნის მაგიერ.** მთავრობის კომპეტენტურობა და აგრარულ პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან (მ.შ.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის) გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ.

ქვეყნის აგროსექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებას, მინის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ურთიერთინტეგრაცია (პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), დაწვრილ-ერთეულეული საწარმოო ბაზის (მინის) კონსოლიდაცია, ბაზრებთან კავშირის აღდგენა, სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის (კოოპერაციული ტიპის, ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) ფორმირება და განვითარებული აგრარული (მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ზოოვეტერინარული) მომსახურე-



ბის სტრუქტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტრადიციული დარგებისა და მწვანე ტურიზმის ახლებური ორგანიზაციული მონწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისად მინათმოქმედთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს.

საქართველოს მთავრობა უნდა დაადგეს აგრარული პოლიტიკის ახალ სტრატეგიას სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების პოლიტიკა (აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა) იგულისხმება. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა (ხასიათი, ჩვევები), რაც განსაკუთრებული თავისებურებით წარმართავს ერის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა – ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ღირებულებათა შკალით განსაზღვრული, კულტურული, მინასთან დამოკიდებულებისა და სხვა. გავგაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, ტრადიციები, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ. რაც, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის სისტემური რეფორმირების და კომპლექსური განვითარების განსხვავებულ მიდგომას, მის განხორციელებას ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას. ამერიკელი მეგობრები ამას გულისხმობენ, როცა მათ მიერ შემუშავებულ საქართველოს



სოფლის მეურნეობის განვითარების 2006-2015წწ სტრატეგიის მე-12 გვერდზე წერენ: „ნუ ჩათვლით, რომ საქართველოსთვის ავტომატურად სასურველია რაიმეს მიღება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს რალაცა მიღებულია ევროპის, ამერიკის, იაპონიის თუ განვითარებული სამყაროს სხვა ქვეყნებში“.

სოფლის მეურნეობის დინამიკური სისტემის შექმნა მოქნილი სამოქმედო გეგმით იქნება შესაძლებელი რეალისტური სტრატეგიის შემთხვევაში.

**პაატა კოღუაშვილი,**  
ეკონ. მეცნ. დოქტ., სტუ პროფესორი  
**გიორგი ზივზიბაძე,**  
ეკონომიკის დოქტორი, სტუ პროფესორი  
**ბადრი რამიშვილი,**  
ეკონომიკის დოქტორი, თსუ პროფესორი

SUMMARY

ILLITERATE STRATEGY. HONEST OR INSIDIOUS?

**PAATA KOGHUASHVILI, GTU Professor**  
**GIORGI ZIBZIBADZE, GTU Professor**  
**BADRI RAMISHVILI, TSU Professor**

There are reviewed and analyzed the advantages and disadvantages of “The Rural Development Strategy (2012-2020 years)” developed by the Ministry of Agriculture of Georgia. This strategy does not offer any of implementation mechanisms. It is devoided of any specificity. There are not given any costs of its realization, deadlines of implementation of measures, the stages and the feasible socio - economic consequences. The strategy has highlighted the right terms, in particular, the exercise-consulting-implementation terms, rural cooperation (which lacks specificity) terms, and other terms. Despite its advantages the strategy is the subject to recycling.

ინფორმაცია

საქართველო კიდევ ერთ ევროპულ  
ორგანიზაციაში გაწევრიანდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღეობაცია, სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას ხელმძღვანელობით საფრანგეთში ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) საბჭოს 64-ე სესიაში მონაწილეობა, სადაც აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების საპროცესო განხილვა მოხდა. კენჭისყრის შედეგად, საქართველო EPPO-ს 51-ე წევრად ერთხმად აირჩიეს.



ორგანიზაციის წევრობა საქართველოს ფიტოსანიტარიის სფეროში DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების, EPPO-ს მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზასა და თანამედროვე ფიტოსანიტარიულ ინფორმაციაზე წვდომის, საქართველოს ტერიტორიის, სასოფლო-

სამეურნეო კულტურების, ტყეების ფიტოსანიტარიული დაცვის დონის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. საერთაშორისო ვაჭრობაში EPPO-ს წევრი ქვეყნიდან ექსპორტირებულ მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის მიმართ ნდობა განსაკუთრებით მაღალია. EPPO-ში გაწევრიან-

ებით, საქართველო ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით კეთილსაიმედო სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს დაიმკვიდრებს. დღეისათვის EPPO-ში 51 ქვეყანაა გაწევრიანებული, მათ შორის აზიიდან ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი.

# კოოპერატივების რაოდენობა იზრდება

„ფარგერებს თეორეტიკოსები კი არა, პრაქტიკოსები გვჭირდება“

**„რად გინდა ჯაჭოს კაპრატინი?“ – გამოცემული კითხვ-ლოვდა ჯაჭო და თანასოფელელების გაყვლივას ყოველ-გვარი „კაპრატინის“ გარეშეც მშვენივრად ახერხებდა... თვით ეს სიტყვაც კი, კალიან ზევერ აღამიანში უსიამოვნო ემოციებს აღკრავს, თუმცა კოოპერატივი თავისი არსით საინტერესო მოვლანაა. ალბათ ამიტომ, კოოპერატივის იდეას ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი 21-ე საუკუნე-შიც მიუბრუნდა.**

სხვათა შორის, საქართველოში კოოპერატივების განვითარება ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ანუ ENPARD. ეს პროგრამა საქართველოში 2013 წელს დაიწყო და მის ფარგლებში უკვე 40 მილიონი ევრო გამოიყო. კოოპერირების მიმართ ქართველი ფერმერების დამოკიდებულება აშკარად პოზიტიურია, ამის საბუთად ციფრებს მოვიყვანთ: ერთი კვირის წინ კოოპერატივის სტატუსით საქართველოში 233 სუბიექტი სარგებლობდა, დღეის მონაცემებით კი მათი რიცხვი უკვე 238-ს აღწევს.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ყაჭეიშვილი მიიჩნევს, რომ კოოპერატივების შექმნის იდეა უკვე რეალობად იქცა.

**თამაზ ყაჭეიშვილი:** კარგად მახსოვს, როდესაც კოოპერატივების შექმნა დაიწყო, საქართველოში მხოლოდ სამი თუ ოთხი კოოპერატივი იყო, მერე მათი რიცხვი 50-მდე ავიდა და თანდათან გაიზარდა. კოოპერატივების მხარდასაჭერად სოფლის მეურნეობის სამინისტროში სპეციალური სააგენტოც შეიქმნა. სწორედ ამ სააგენტოსთან შეთანხმებითა და მისი ხელშეწყობით იქმნება ახალი კოოპერატივები. სააგენტო მათ ხელმძღვანელობს და ტექნიკურადაც ეხმარება. კოოპერატივების ძირითადი საქმიანობა მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და სანერგე მეურნეობაა, მაგრამ მათი საქმიანობის არეალი თანდათან გაიზარდება. როგორც ვიცი, ციტრუსების წარმოებაშიც აპირებენ კოოპერატივების შექმნას. მართალია, თვით კოოპერირების იდეა კომუნისტურ ეპოქასთან ასოცირდება, მაგრამ ჩვენი გლეხები ამ სახელწოდებამ არ უნდა შეაშინოს. მაშინდელი სახელმწიფო გლეხებს ტყავს აძრობდა, თანამედროვე კოოპერატივები კი ნებაყოფლობით იქმნება და ჩვენს ფერმერებს შეუძლიათ ყველაზე ახლობელი და საიმედო ადამიანები აქციონ საქმიან პარტნიორებად.

**bpn.ge „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელს გიორგი მიშელაძესაც დაუკავშირდა.**

**გიორგი მიშელაძე:** კოოპერატივების რაოდენობა თითქმის ყოველდღე მატულობს. ამ მხრივ პირველ პოზიციაზე არის ქვემო ქართლი, სადაც უკვე 36 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი გაიხსნა. შემდგომ მოდის შიდა ქართლი და აჭარა. აქტიურობენ მაღალმთიან რეგიონებშიც, სადაც უკვე შექმნილია 62 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მეპაიეებს შორის სულ 1 841 ფერმერია გაერთიანებული, მათ შო-

რის 434 ქალბატონია. მთლიანობაში საპაიო ფონდში 4 მილიონ 600 ათას ლარზე მეტია შეტანილი. დღეის მდგომარეობით ძირითადად პირველი დონის კოოპერატივები გვაქვს. მეორე დონის კოოპერატივს პირობითად ვეძახით იმას, რომლის მეპაიეებიც კოოპერატივები არიან და არა ფიზიკური პირები. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მეორე დონის კოოპერატივი გვაქვს, რომელშიც თავის მხრივ რამდენიმე კოოპერატივია გაერთიანებული. მათი მიზანი უკვე გადაამუშავებული საწარმოს შექმნაა.

გიორგი მიშელაძის თქმით, კანონით დადგენილია სერიოზული შეღავათები კოოპერატივებისათვის, რის გამოც გრანტის მიღების შემთხვევაში ისინი არ იბეგრებიან: „მაგალითად, გორის რაიონში შექმნილ ერთ-ერთ კოოპერატივს



პოლონეთმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცა და მიუხედავად იმისა, რომ ისინი მწნარმე სუბიექტები არიან, არ დაიბეგრნენ. ამის გამო სერიოზული შეღავათიც მიიღეს და რესურსიც დაზოგეს. გარდა ამისა, ხორციელდება მცირეგაბარითიანი ტექნიკის პროგრამა, რომელიც მხოლოდ კოოპერატივებისათვის არის განკუთვნილი. ამ პროგრამის ფარგლებში მათ შეღავათიან ფასად გადაეცემთ მოტობლოკები, რომლებიც დაკომპლექტებულია ხელის სათესით, გუთნითა და კულტივატორით. ეს პროგრამა უკვე დაწყებულია და დღეს უკვე 368 მოტობლოკის კომპლექტზეა განაცხადი გაკეთებული. ასე რომ, კოოპერირების პროცესი გრძელდება. ამ პროცესის სტიმულირების მიზნით შემუშავებულია დაბრუნებადი გრანტების გაცემა 20-პროცენტის თანამონაწილეობის პირობით. დაბრუნებადი გრანტის პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია „ჩარე“-ი, რომელსაც თავისი რეგიონები აქვს განსაზღვრული. საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი 10 ოქტომბერს დასრულდება. ეს ყველაფერი ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. ჩვენ მზად ვართ შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდგეთ და კონსულტაცია გავუწიოთ ფერმერებს, რომლებსაც კოოპერატივის შექმნა სურთ. სტატუსის მინიჭებაშიც დავეხმარებით, ხოლო ამის შემდეგ ჩვენ უკვე ერთმანეთის პარტნიორები და თანამშრომლები გავხდებით.

ალბათ მკითხველისთვის საინტერესოა, რას ფიქრობენ ამავე საკითხზე გლეხები და ფერმერები, რომლებზეც მნიშ-



ვნელოვნად არის დამოკიდებული კოოპერირების პროცესის წარმატება.

**ჯაბა შიშვილი, ფერმერი, ასოციაცია "ელკანას" კონსულტანტი:** „კოოპერირების იდეა მისასაღებელია, ჩემი ოჯახიც ჩართულია ამ საქმეში. ახლა დაფინანსებას ველოდებით, რომ მანდარინის საცავები გავაკეთოთ და მუშაობა დავიწყოთ. ოღონდ არ შემძლია ქართველი გლეხებისა და ფერმერების პრობლემებზეც არ გითხრათ: გლეხი სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. სასურველია დაბალპროცენტუანი, ან უპროცენტო სესხები გასცენ ამ ადამიანებზე. ჩემი აზრით, კოოპერაციის წესდებაც გადასახედია, რადგან ის ძალზე რთული აღსაქმელია რიგითი ფერმერისათვის. ქართველი გლეხების დიდი ნაწილი ჯერ არ არის მზად ამისთვის, რადგან შემოსავალი, რომელიც მათ აქვთ,

წლიდან წლამდე ძლივს ჰყოფნით შეილებისა და ოჯახის შესანახად. ამიტომაც არის საჭირო სახელმწიფოს მიერ დოტაცია და დახმარება. ფერმერებს შორის ცნობიერების დონეც ასამაღლებელია. კოოპერირებას რომ სთავაზობენ, ზუსტად უნდა აუხსნან, ტრენინგები ჩაუტარონ. სამინისტროს წარმომადგენელი ფერმერამდე უნდა მივიდეს და მის პრობლემებს ადგილზე გაეცნოს, რადგან თბილი კაბინეტიდან გლეხის გაჭირვება არ ჩანს. მე ძალიან ბევრ მათგანს ვიცნობ და აქედან გამომდინარე გელაპარაკებით.

კოოპერაცივს ძალიან ბევრი დადებითი მხარე აქვს: როდესაც 5 ან 10 ფერმერია გაერთიანებული, ყველა ერთად საბითუმო ფასში ყიდულობს საჭირო პრეპარატებს, სასუქსა და მასალას. ისინი ერთად პოულობენ კლიენტებს. ესეც კარგია, მაგრამ ვისაც არაფერი აქვს, ის რა კოოპერაცივს შექმნის? გარდა ამისა, კოოპერაცივს კარგი მენეჯერი, კარგი ხელმძღვანელი და ბუღალტერი სჭირდება. მე შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, ფერმერებს შორისაც არიან კარგი მენეჯერები და ბუღალტრები, მაგრამ ძირითადი ფენა ამას ვერ შეძლებს. სწორედ ამიტომ ჩვენ თეორეტიკოსები კი არა, პრაქტიკოსები გვჭირდება, რომლებმაც გლეხის ჭირიც კარგად იციან და ლხინიც.

ყველამ კარგად ვიცით რა წარმატებებს მიაღწია ამ ბოლო წლებში თურქეთის ეკონომიკამ და სოფლის მეურნეობამ. თურქეთში ერთი სატელევიზიო არხი სპეციალურადაა გამოყოფილი, რომ გლეხს ინფორმაცია მიანოდოს. ამ არხზე ყველაფერს დეტალურად ასწავლიან, ჩვენს ტელევიზიებში კი სერიოზული, საქმიანი გადაცემების დეფიციტია. მე მგონი, დანინაურებულ ქვეყნებს პირველ რიგში კარგი საქმით უნდა მივბაძოთ და არა - ცუდით“.

სათუზა ჩიშვილი (bpn.ge)

## „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სთესვით უზრუნველყოფის პროგრამა“

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს.

**პროგრამის მიზანია:** ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამენარმეო საქმიანობის სტიმულირებას და მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

**პროგრამა ითვალისწინებს:** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის იტალიური წარმოების მცირე-გაბარიტის აგროტექნიკის – 1700 მოტობლოკისა და 2000 ხელის სათეს-

სის – გადაცემას თვითღირებულების მხოლოდ 23 პროცენტის გადახდის პირობით.

მოტობლოკები გაიცემა კომპლექტში და მოიცავს მოტობლოკს, სათბს, გუთანს, კულტივატორსა და ხელის სათესს.

**ერთ კომპლექტზე დამატებით ერთი ხელის სათესი სიმბოლურ ფასად (1 ლარად) გადაეცემა ისეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა:**

- ყველა მეპაიე არის დევნილი, ან/და ეკომიგრანტი;
- საქმიანობის ადგილი არის მალაქმიანი რეგიონი;



● საქმიანობის ადგილი არის საზღვრისპირა ზოლში;

● საქმიანობის ადგილი არის ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი.

**პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები არიან:** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სუბიექტები.

აგროტექნიკის მისაღებად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა განცხადებით უნდა მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს.



# სრულყოფილი კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“

სადღეისოდ საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება სოფლის მეურნეობის ალორკინიზაციის, რა თქმა უნდა, მისასაღწევად, მაგრამ ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს გარკვეული საშიშროება იმისა, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების გამო, ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგები დაბალი ეფექტურობის გამო, ან სულაც უკუშედეგის მომტანი იქნება, როგორც განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში ხდებოდა.

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ სტრატეგიულ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე, ძირითადად შპს-ებზე მოდის და მათ შორის არ არის არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაიძულებს განვაცხადოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბოლოსდაბოლოს ცალსახად და კატეგორიულად უნდა განსაზღვროს, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად, რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ბოლო ორი ათეული წლის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამმუშავებელი სანარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ ფერმერებისაგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე განხორციელებულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, კარტელურ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამომწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთი მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ – ქვეყანაში აგრარული წარმოების პარალიზებისა. კერძოდ, განახევრდა ვენახისა და ხეხილის ფართობები, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყე არის ქცეული, უმძიმეს დღეშია საკონსერვო მრეწველობა, კატასტროფულად შემცირდა ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სხვ.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სანარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობისათვის, საბოლოო ანგარიშით, უკუშედეგის მომტანი იქნება. კერძოდ, სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით მინის წვრილ მესაკუთრებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) საბოლოოდ დაუკარგავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, მოუსპობს სოფლად ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.



შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგრარული განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება, ჩვენი აზრით, სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ამიტომ მიმდინარე ეტაპზე, სახელმწიფო ხელშეწყობის სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემა პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და ისინი დანტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

მეურნეობრიობის ეს ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მინის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის გადამმუშავების და რეალიზაციის პრობლემებს, საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი (მეორე, მესამე) დონის მქონე – კოოპერაციული ფორმების შექმნას.

ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში, ჩვენი აზრით, ნეგატიურად აისახება ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე. კერძოდ:

1. კანონში არ არსებობს არანაირი მექანიზმი (ეკონომიკური და ფინანსური) სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობისათვის (რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ), რომე-



ლიც მიმართული იქნება მხოლოდ კოოპერატივებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის დაწყება, პრაქტიკულად, წინასწარ შეიძლება შეფასდეს, როგორც ფიასკო. ეს პროცესი განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მაღალმთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული კატასტროფა<sup>1</sup>;

2. კანონით “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ” არ ხდება კოოპერატივის შიდასწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განსახვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან. კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონება, რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. სწორედ ამ ორი კომპონენტის – შრომითის და მატერიალურის ორგანული შერწყმით (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულებაა არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე, ევროპული ტიპის კოოპერატივებს განვითარების 170-წლიანი გამოცდილება გააჩნიათ, რაც იძლევა მდიდარ მასალას ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის სწორი გზით წარმართვისათვის. ამ გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკურად განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შეტანით, როგორც: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გარეგანი, კოოპერატივის ასოცირებული წევრობა და სხვ., ახდენენ კოოპერატივების შიდასწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო

1. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ხელისუფლების ამოცანებში. კანონს უნდა გაეთვალისწინებინა ზოგადად დებურსიულ ზონებში და საზღვრისპირა სოფლებში ახლად დაარსებული კოოპერატივების მასტიმულირებელი კონკრეტული ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის ღონისძიებები, რაც, სამწუხაროდ, ასევე არ აისახა მიღებულ კანონში.

დონეზე, იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე ზემატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: კერძოდ, საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ” გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდასწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად (რომელთა შორისაა პოსტსაბჭოური ქვეყნები: უკრაინა, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბელორუსია, რუსეთი, ყირგიზეთი) მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე.

მიუხედავად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების რეკომენდაციებისა, ამ კანონით არ მოხდა საერთაშორისო პრაქტიკისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო სისტემის არსებული რეალობის ადეკვატური, კოოპერატივების შიდასწარმოო ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა, რაც, ჩვენი აზრით, კანონის სერიოზულ ხარვეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან კოოპერატივის შიდასწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესები – ესაა უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც მას დიამეტრალურად განსახვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (კოოპერატივების) შესახებ შეიცავენ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ძირითადი და საერთოა ყველათვის. მაგალითად:

– კოოპერატივის წევრთა პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებით. კოოპერატივის წევრის აუცილებელი საპაიო შენატანის მოცულობა განისაზღვრება თანაბრად ან კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მისი მონაწილეობის პროპორციულად;

– დამატებითი პაის შეტანის წესი განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

– კოოპერატივის წევრს შეუძლია განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ სრულად იქნება დაფარული აუცილებელი საპაიო შენატანი;

– დამატებითი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს მიიღოს დივიდენდი.

– აუცილებელი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავლის კანონით განსაზღვრული ნაწილი გადანაწილდება დივიდენდების სახით დამატებითი პაის შემტან კოოპერატივის წევრებზე, მათი დამატებითი საპაიო შენატანის პროპორციულად. დივიდენდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წევრის მიერ მიმდინარე საფინანსო წელს განხორციელებული დამატებითი საპაიო შენატანის მოცულობის კანონით განსაზღვრულ ნაწილს;

– დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე, კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად;

– ამ შემოსავლებიდან ავტომატურად ხდება აუცილებელი საპაიო შენატანის გადაუხდელი ნაწილის დაფარვა.

აღნიშნული ნორმები უკვე იძლევა საშუალებას, რომ მათთან ერთად, ერთიან კონტექსტში კანონში ჩაიდოს ამ სისტემის მასტიმულირებელი მთავარი ეკონომიკური და ფინან-

ნსური მექანიზმი, რომლითაც შენარჩუნებული იქნება კოოპერატივის ძირითადი არსი: კერძოდ ის, რომ კოოპერატივი მონოდებულია მისი წევრების შემოსავლების ზრდაზე და მის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს უპირატესად მოგების მიღება. ანუ უნდა მოხდეს კოოპერატივის მიერ არანაწევრ პირებზე მომსახურების განწესისა და არანაწევრ პირებიდან პროდუქციის შესყიდვის შეზღუდვა და რეგლამენტირება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ დღეს, როცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ისევე, როგორც ქართული სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმყოფება ფინანსური რესურსების მწვევე დეფიციტის პირობებში, კანონში “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ” შევიდეს მუხლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებული წევრის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს კოოპერატივის არანაწევრ პირებს, განათავსონ საკუთარი ფინანსური სახსრები კოოპერატივის საპაიო ფონდში, რაც კოოპერატივებს შეუქმნის მისი განვითარებისთვის აუცილებელი საფინანსო რესურსის მობილიზების კარგ საშუალებას, ხოლო ასოცირებულ წევრებს – მოგებიდან დივიდენდის მიღების საშუალებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ერთადერთი სწორი გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში იქნება:

1. საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები კანონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ;

2. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ან სოფლის მეურნეობის მინისტრმა, სხვა ქვეყნების აპრობირებული პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების დამტკიცების თაობაზე, რომელიც სავალდებულო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.

ასეთი ადმინისტრაციული რეგულაციის გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველაზე მთავარს – ორიენტირებული იყვნენ შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე, მის მაქსიმალურ უკუგებაზე და არა ფულადი და მატერიალური რესურსების დომინანტობაზე (შპს-ებისა და სხვა მომგებიანი სანარმოების მსგავსად). წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ ფაქტობრივად მალე გადაიქცევა კანონად „სასოფლო-სამეურნეო შპსების შესახებ“, რადგან ასეთი „კოოპერატივისგან“, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისგან, დარჩება მხოლოდ სახელი და აბრა. ისინი ფაქტობრივად გადაიქცევიან შპს-ებად, და წარმატებით გამოიყენებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის კანონით მინიჭებულ სავადასახადო და სხვა სახის შეღავათებს, რაც საფუძვლშივე ეწინააღმდეგება კოოპერატიული მოძრაობის უუნდამენტურ პრინციპებს. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავებს საზოგადოებაში ისედაც შორს წასულ სოციალურ პოლარიზაციას და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რისთვისაც შეიქმნა კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ” (სოფლად ყოფა-ცხოვრებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა და აქტიური მოსახლეობის კატასტ-

როფული მიგრაციის შეჩერება). ვფიქრობთ, ასეთი კანონის რეალურ პრაქტიკაში გატარებას ექნება უკუეფექტი, რაც პირველ ყოვლისა მოსახლეობის უფრო დაჩქარებულ მიგრაციაში ნახავს თავის გამოხატულებას.

დასკვნის მაგიერ. მიღებულ კანონში თითქმის არაფერია კონკრეტული, გარდა ზოგადი განცხადებებისა (სახელმწიფო დახმარების, იაფი კრედიტების და სხვა ზოგადი დაპირებებისა), მასში არაა ის მასტიმულირებელი მუხტი, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში კოოპერატიული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სოფლად ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.

კანონის მიღებიდან წელიწადზე მეტი გავიდა და საინტერესოა, რა გამოხმაურება აქვს მას ადგილებზე, თუ მიიწოდეს ის უკვე მოქმედმა კოოპერატივებმა ან რა შენიშვნები გააჩნიათ მის მიმართ. როგორ აისახა კანონი კოოპერატივთა რიცხოვნობის დინამიკაზე. გაზარდა კანონმა სოფლად ახალი კოოპერატივების (მეორე და მესამე საფეხურის) ფორმირების სტიმულები?

თავის შეკავება აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარების მხარდამჭერი ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან (სადაც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას და კისრულობს ამ უაღესად მნიშვნელოვანი



პროცესის ძირითად მაკოორდინირებელ, მაორგანიზებელ და ხელშემწყობ ფუნქციას და სადაც კოოპერატივებს სუბსიდირებას უწევენ და ყოველნაირად ეხმარებიან ფეხზე დადგომამდე), აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული მასშტაბური ღონისძიებების ეფექტურობაზე და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

**პაატა კოღუაშვილი,**  
ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფესორი

**გიორგი ზივზიბაძე,**  
ეკონ. დოქტ. პროფესორი

**ზურაბ მიქელაძე,**  
სოფლ. მეურ. დოქტორი

**SUMMARY**

**PAATA KOGHUASHVILI, GTU Professor**  
**GIORGI ZIBZIBADZE, GTU Professor**  
**ZURAB MIQELADZE, agriculture doctor**

There are reviewed and analyzed the advantages and disadvantages of “The Rural Development Strategy (2012-2020 years)” developed by the Ministry of Agriculture of Georgia. This strategy does not offer any of implementation mechanisms. It is devoided of any specificity. There are not given any costs of its realization, deadlines of implementation of measures, the stages and the feasible socio - economic consequences. The strategy has highlighted the right terms, in particular, the exercise-consulting-implementation terms, rural cooperation (which lacks specificity) terms, and other terms. Despite its advantages the strategy is the subject to recycling.

# სადაც ნახევარი საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება შეიძლება



XX საუკუნის უდიდესი ეკონომისტი და მონეტარული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი მილტონ ფრიდმანი წერდა: „ბაზარი შემოქმედი, მას ძალუძს აღმშენებლობა. მთავრობა, რომელიც ცდილობს საბაზრო ძალის დამორჩილებას, მხოლოდ შეცდომას უშვებს“. იგივე ფრიდმანი სხვა ნაშრომში შემდეგნაირად მოქალაქეს მთავრობას: „თუ ეკონომიკაში ყველაფერი წესრიგშია, იმომედი ისა, როგორც მოქმედადი, მაგრამ თუ ძალუძს იკრებს უარყოფითი ტენდენციები, მოქმედა, სად დაუშვი შეცდომა და შეიშუავე მისი გამოსწორების გზა“.

როგორც ხედავთ, სულმნათი მ. ფრიდმანი ეკონომიკაში ხელისუფლების ჩაურევლობასაც ქადაგებს და ჩარევის აუცილებლობასაც. მის ამ გაორებულ შეხედულებას შეიძლება ასეთი ახსენა მოვუძებნოთ: მ. ფრიდმანის აზრით, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხელისუფლის დეკრეტიტ კი არ უნდა მოხდეს, არამედ ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ძველ ეკონომიკურ ურთიერთობათა ადგილზე ააშენოს ახალი, ე.ი ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების: ბიზნესმენების, მენარმეთა და ფერმერთა კლასის ჩამოყალიბებას, მერე კი, როცა ეკონომიკას გამართავს, გვერდზე გადაგვს და მანამდე აღარ ჩაერიოს მათ საქმეში, სანამდე ეკონომიკის განვითარებაში უარყოფით ტენდენციებს არ შენიშნავს.

ჩვენი სახელოვანი ეკონომისტი, პროფესორი დ. იაკობიძე იმ მთავრობაზე, რომელიც თავისი ლიბერტარიანელობით ამართლებს ეკონომიკაში ჩაურევლობას, ამბობს: „ასეთი ხელისუფლება ამით თავისი უმოქმედობის გამართლებას ცდილობს“. როგორც ხედავთ, მეცნიერება ეკონომიკაში მთავრობის გონივრული ჩარევის არა მარტო მომხრეა, არამედ საბაზრო ეკონომიკის მთავარ შემოქმედად მიაჩნია.

ისეთი პატარა ქვეყნის მეურნეობის გამართვას და ხალხის დასაქმებას, როგორც საქართველოა, რამდენიმე საბაზისო დარგის განვითარება ჰყოფნის, მერე კი ზედნაშენი ჯეჯილივით წამოვა და ქვეყანაც დასაქმდება. ეს საბაზისო

დარგები და გამოყენებადი რეზერვები საქართველოში საჭიროზე მეტია. სამწუხაროდ, ამისათვის ვერცერთმა პირველმა პირმა ვერ მოიცალა.

ჩემი ამ წერილის მიზანია ორი ასეთი გამოყენებადი რეზერვი გავაცნო მკითხველს, იქნებ საერთო ძალისხმევით დავძრათ ისინი ადგილიდან.

ქვეყანაში მონოკულტურა ვაზია და ქვეყნის გადარჩენის მონობაზისი, სადაც ის უნდა მივიჩნიოთ, ღვინო მსოფლიო ბაზარზე (სადაც ჩვენ ღირსეულად არასდროს ვყოფილვართ წარმოდგენილნი) ყოველთვის ძვირად ფასობდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამით არასდროს გვისარგებლია და ვერც ვერასდროს ვისარგებლებთ, რადგან ჩვენ ისე როგორც დანარჩენი მსოფლიო მეღვინეობა, ევროპული ტიპის, მუხის მერქნის ორგანული ნივთიერებით გაჯერებულ



ღვინოს ვყიდით. ამ ღვინის ავტორად კი ევროპა ითვლება და ისინი ავტორთათვის განკუთვნილ ფასს იღებენ, ჩვენ კი წამბაძველები ვართ და ფასსაც გაცილებით ნაკლებს უნდა დაჯერდეთ და ვჯერდებით კიდეც.

საქართველო ღვინის ქვეყანაა, სუფრის ნატურალური ღვინის ქვეყანაა, ქვეყნის და ქვეყნის ღვინის ქვეყანაა. ეს ფაქტი ჩვენი გამოყენებადი რეზერვია, ჩვენი კოზირია, რითაც ჩვენ მსოფლიო ღვინის ბაზარზე უნდა შევიდეთ.

გასულ წელს იუნესკომ ქვეყრი და ქვეყრის ღვინო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა და მემკვიდრედ ჩვენ გამოგვაცხადეს. ეს ფაქტი, გარდა ჩვენი წინაპრის ნაღვანის მსოფლიო აღიარებისა, იმას ნიშნავს, რომ დადგა ჩვენი ქვეყრის ღვინის დრო მსოფლიო ღვინის ბაზარზე. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ და ქვეყნის მეღვინეობამ ღვინის ეს წყალობა ცნობად მიიღო და მეტი არაფერი, არადა ქვეყრის და ქვეყრის ღვინის წარმოებით ნახევარი საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება შეიძლება.

ქვეყრის ღვინო მსოფლიოსათვის მართალია ეგზოტიკაა, მაგრამ ჭეშმარიტმა მეღვინეებმა და ღვინის სპეციალისტებმა მასში ჭეშმარიტი ნატურალური ღვინო დაინახეს, ამიტომ ბოლო ორი ათეული წელია მოდიან საქართველოში და მიაქვთ ქვეყრები, ადუღებენ ქვეყრში ღვინოს, მერე მუხის კასრში ავარგებენ და ქვეყრის ღვინოდ ჰყიდიან. ე.ი ღვინის ბაზარზე ქვეყრის ღვინოდ მკვიდრდება რაღაც უმსგავსეობა, ჩვენ კი ამ დროს არხეინად გვძინავს და ჩვენი წინაპრის მიერ გადმოცემული ეს საუნჯე უპატრონოდ გაუშუვით ევროპაში. ევროპელი მეღვინეების ეს შეცდომა კი გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ქვეყრთან ერთად მყიდველს არ ვატანთ

ქვევრის ღვინის დამზადების კლასიკურ ტექნოლოგიას, რომელიც, სამწუხაროდ, სახელმწიფოს ეგიდით შექმნილი კომისიის მიერ დანერგულ-დამტკიცებულ ჩვენს არ გვაქვს.

ცნობილია, რომ ჩილეს მთავრობამ თავიანთი ღვინის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის 8 მილიარდ დოლარზე მეტი გაიღო. რა დაგვიჯდება ჩვენ, ქართველებს, ქვევრის ღვინის წარმოება მსოფლიო მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რომ ვაქციოთ?

1. უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის იმ მექანიზმს, რომელიც ქვევრში დავარგებულ ახალგაზრდა ღვინოს განუმეორებელი გემოს და ბუკეტის ღვინოდ რომ აქცივს. ამავე კომისიამ უნდა აღადგინოს და დაამტკიცოს ქვევრის ღვინოს კლასიკური ტექნოლოგია და დააპატენტოს საერთაშორისო მასშტაბით, რათა ყველანაირ ღვინოს ქვევრის ღვინო აღარ დაარქვან.

2. მართალია საზღვარგარეთელი მეღვინეები დიდ ინტერესს იჩენენ ქვევრისადმი და მათ მოვლენებსაც კი გაუხსნრეს წინ, მაგრამ რეკლამა მაინც აუცილებელია. პარალელურად მუხის კასრზე და მასში დავარგებულ ღვინოზე უნდა ითქვას და დაინეროს ის სიმართლე, რაც ფაქტია.

ქვევრის ღვინის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებას ყოველწლიურად ათი ათასობით მაღალი ხარისხის ქვევრი დაჭირდება. ეს პრობლემა დიდი ხნის გადანყვეტილია. კერძოდ, შექმნილი მაქვს ქვევრის დამზადების მექანიკური მეთოდი, რომლის გამოყენებით ერთ დღეში ნებისმიერი ზომის ქვევრის დამზადება შეიძლება (სველი ვარიანტი).

საზღვარგარეთ ქვევრის ღვინის წარმოების დამკვიდრება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად ათი ათასობით ქვევრი გავიტანოთ ექსპორტზე და ამით ათასობით კაცი დავასაქმოთ. პარალელურად ევროპელი მეღვინეები იზრუნებენ ქვევრის ღვინის ფასზე, ჩვენი ქვევრის ღვინო კი, როგორც ავტორთა ღვინო, ამჯერად მაღალ ფასს დაიმკვიდრებს მსოფლიო ღვინის ბაზარზე.

საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში ადგილწარმოშობის საუკეთესო საღვინე ყურძენი გვაქვს, რომელთაგან ადგილწარმოშობის მაღალი ხარისხის სამარკო ღვინო მზადდება. ყოველწლიურად ათი ათასობით ექსპორტზე გატანილი ქვევრი და მაღალ ფასში გაყიდული მილიონობით ბოთლი ქვევრის ღვინო მილიარდებს შემოიტანს ქვეყანაში, პარალელურად ხალხიც ბევრი დასაქმდება.

როგორც ხედავთ, ამ საქმის ფეხზე

დაყენებას არც ისე დიდი თანხა უნდა. სახელმწიფოს მხარდაჭერა აქ ფინანსურზე უფრო მორალური უნდა იყოს. ბევრი რამ მთავრობის სახელით უნდა გაკეთდეს, რადგან დონეა საჭირო. ქვევრის ღვინის კლასიკური ტექნოლოგია არა მარტო უნდა დაინეროს, არამედ ცხოვრებაშიც უნდა გატარდეს, ეს კი მხოლოდ მთავრობას შეუძლია.

ხალხის დასაქმების მეორე დიდი რეზერვი ქვეყანაში შაქრის ჭარხლის წარმოების აღდგენაა. დაბა აგარაში გვაქვს შაქრის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც საზღვარგარეთ ნაყიდ ნახევარფაბრიკატზე მუშაობს. ქარხანას ჰქონდა და გაუნადგურეს ჭარხლის პირველადი გადაამუშავების ხაზი, სადაც ქართლის ტერიტორიაზე მოყვანილ შაქრის ჭარხალს გადაამუშავებდნენ. იყო წლები ჭარხალი საქართველოში 5 ათას ჰექტარზე ითესებოდა და საკუთარი ნედლეულით 50 ათას ტონაზე მეტ შაქარს ვაწარმოებდით. დღეს ქარხანა შემოტანილი ნედლეულით საშუალოდ 150 ათას ტონა სასაქონლო შაქარს აწარმოებს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნას შაქარზე.

ბოლო წლებში მსოფლიოში მასიურად დაიწიეს შაქარშემცველი კულტურების გამოყენება ბიობენზინის წარმოებაში, ამიტომ შაქრის ნახევარფაბრიკატი ყოველწლიურად ძვირდება და დეფიციტი ხდება. მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება ქარხნის მებატრონესთან ჭარხლის პირველადი გადაამუშავების ხაზის აღდგენის შესახებ, პირობად კი ითხოვს გარანტიას აღვადგინოთ ქვეყანაში შაქრის ჭარხლის წარმოება და გვცხმა ქარხანას ჭარხალი ჩააბაროს. მალე გაირკვევა გლეხის პოზიცია. ისინი აუცილებლად მოითხოვენ გარანტიას, მოყვანილი ჭარხალი მისაღებ ფასში ჩაიბაროს ქარხანამ. ეს საკითხები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში ქარხნის მებატრონესა და გლეხს შორის მოლაპარაკების გზით წყდება, ჩვენ კი ასეთი საბაზრო ურთიერთობებისაგან ჯერჯერობით შორს ვართ, ამიტომ ორივე მხარის გარანტორად ხელისუფლება უნდა დადგეს. მითუმეტეს გლეხს და ფერმერს წარმოების გამართვისათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხი დასჭირდება.

ჩემი გათვლებით საკმარისი რაოდენობის ჭარხლის მოყვანას 15-18 ათასი ჰექტარი მიწის სავარგული ესაჭირო-

ება, დანარჩენებისაგან მიიღება მაღალი ხარისხის სპირტი და ლიმონმწავა, საბოლოო ნარჩენები კი გამოიყენება მეცხოველეობაში. ასე რომ, საბოლოო ჯამში 20 ათას კაცზე მეტი დასაქმდება.

ქვეყანაში გვაქვს ბიოენერგოაქტივატორი „ბიორაგი“, რომელსაც ბოლო შვიდი წელია ვიყენებ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. ვაწარმოებ მის გამოცდას შაქრის ჭარხალზეც. ეს ერთადერთი პრეპარატია მსოფლიოში, რომელიც შაქრის შემცველობას ჭარხალში 50%-ზე მეტით ზრდის. სხვა პრეპარატების წარმადობა 2-5%-ია. სარწყავ ფონზე ყოველწლიურად ჰექტარზე გადაანგარიშებით 200 ტონაზე მეტ მოსავალს ვიღებთ. ჩემი გათვლებით ქართლის ტერიტორიაზე ჭარხლის ჰექტარმა პლანტაციამ 6-8 ათასი ლარი მოგება უნდა მისცეს გლეხს. თვალსაჩინოებისათვის: 1 ჰექტარი პურის ყანა 300-500 ლარ მოგებას ტო-



ვებს (ხშირად ხარჯსაც ვერ ანაზღაურებს), ხოლო სიმინდის ყანა 1000 ლარამდე იძლევა.

აი, სულ ესაა, პატივცემულო მკითხველო. როგორც ხედავთ, ორი გამოყენებული რეზერვის ამოქმედებით, რომლის ფეხზე დაყენებას არც ისე დიდი თანხა ესაჭიროება (ქვეყნის მასშტაბით), შეუძლია ათი ათასობით კაცი დაასაქმოს და ღირსეული ანაზღაურება გაუჩინოს.

აგარის შაქრის ქარხანა მშვიდპროლეტარის ხელით აშენდა და 1932 წელს ჩადგა მწყობრში. მშვიდპროლეტარმა ქვეყანამ გონიერი ხელისუფლების ხელში ქარხნის აშენებაც შეძლო და შიშველი ხელებით და კავით შაქრის ჭარხლის (ქვეყნისათვის ახალი კულტურა) მოყვანაც ისწავლა.

ჩვენ და ჩვენს ხელისუფლებას რა ჯანდაბა გვემართება?

*შურა გაბრიძიძე  
/აგრონომ-ეკონომისტი/*

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიის კავშირის წევრია



მიმდინარე წლის 17-19 სექტემბერს ქ. პრაღაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მე-8 ბინარალური ასამბლეის სხდომა ჩატარდა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ახალი წევრების: ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

საქართველოს მხრიდან ასამბლეაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ მოკლედ ილაპარაკა აკადემიის სტრუქტურაზე, ამოცანებზე, საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, სამომავლო პერსპექტივებზე და ქართული აკადემიის

როლზე ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის საქმიანობაში.

გენერალურმა ასამბლეამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. კარენ ნიბლაუმი, სხდომაზე ერთხმად დაამ-

ტკიცა ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევაც.

გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობდნენ: საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის მე-9 სხდომა 2016 წელს საფრანგეთში გაიმართება. მას ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ვილერი პოდრაჟსტი უხელმძღვანელებს. ბატონი ვილერი იმავდროულად ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტადაც აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტი გახდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ჟან-მარკ ბუსსარდი.

### ელგუჯა ზაფაძე,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სსმმ ა/კ, ტექ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## ალიარება

### საერთაშორისო კინოლოგიური კავშირის გადაწყვეტილებით, კავკასიური ნაგაზის /თარტი/ წარმოების ქვეყანა საქართველოა



კიევში გამართულ III კინოლოგიურ კონფერენციაზე კავკასიური ნაგაზის /თარტი/ წარმოების ქვეყნად საქართველო აღიარეს, – ამის შესახებ zooclub.ge-ს საქართველოს კინოლოგთა კავშირმა აცნობა.

ამიერიდან ჯიშის სტანდარტის შეცვლა საჭიროების მიხედვით მხოლოდ საქართველოს კინოლოგთა სანაშენე კომისიას შეუძლია.



## ჩოცა შედეგი შესაძლებლობას აღემატება

**წლეულს დედოფლისწყაროში გაუსაძლისი გვალვა გადაიტანა. უსიამოვნო განწყობას ტოვებს გაღასრუებული შირაძის ვაკე, შავ-ნაცრისფერ მინდვრებზე სიმწვანე იშვიათი სანახაობა. ბალახის ნახსნი არსადაა.**

შუა სექტემბერში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დასათესად ნიადაგი უკვე დამუშავებული უნდა იყოს. ხნული არსადაა გავლებული. წლეულს შირაქში თითქმის მთლიანად განადგურდა ხორბალი, ქერი, შვრია, მზესუმზირა. ფერმერებმა აუნაზღაურებელი ზარალი განიცადეს. ასეთ დარტყმას არათუ ქართველი ფერმერი ვერ გადაიტანს, რომელსაც სული კბილით უჭირავს, არამედ წელში გამართული ქვეყნის ძლიერ ფერმერებსაც კი გაუჭირდებათ დამოუკიდებლად გამკლავება.

ცუდ დღეში არიან მეცხოველეები. საძოვრები „გადამწვარი“, უდაბნოში გეგონება თავი.

საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილთან ვარ სტუმრად. კარგ საქმეს ჩაუყარა დედოფლისწყაროში საფუძველი. ხელოვნური განაყოფიერების გზით ადგილობრივი ჯიშის საქონლის გაუმჯობესების რთული საქმე წამოიწყო. ფერმერებს ეხმარება, ცდილობს აქაური მესაქონლეები დაარწმუნოს ხელოვნური განაყოფიერების სიკეთეში. მესამე წელიწადია რაც ამ, ასე ვთქვათ, პროექტის განხორციელებას ენთუზიანითა და არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით შეუდგა. შედეგი ამკარად თვალშისაცემია. ზებუ, რომელიც ადგილობრივ ჯიშზეა შეჯვარებული, უკვე თითქმის ორწლიანხვედრისა და ადგილობრივ მოზარდთან შედარებით სამჯერ მეტს ინონის, რაც ჩემს მიერ გადაღებულ სურათზეც ჩანს.

ფერმისკენ, სადაც ადგილობრივი ფურების ხელოვნური განაყოფიერე-

ბით გაჩენილი ზებუები და შავი ან-გუსები ჰყავთ, ბექას ავტომობილით მივდივართ. დიეტოფონი ჩართულია, საუბარიც უშუალო, საქმიან, ზოგჯერ ემოციურ ფონზე მიმდინარეობს. მწვავე პრობლემებია მეცხვარეობაში, უსამართლო და ფერმერობის განვითარების შემაფერხებელია მიწის გადასახადი... ამ საკითხებზე ბექა დიდი ხანია ლაპარაკობს, გამოდის პრესით, მაგრამ ვითარება უცვლელია. ამ საკითხებზე ჩვენი ჟურნალიც აქტიურად მუშაობს. არის თემები, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფერმერებთან შეუთანხმებლად არ უნდა გადაჭრას. სხვაგვარად პრობლემები არ მოგვარდება, საქმე შეფერხდება...

– აქტიურად მუშაობა 2011 წლიდან დავიწყე – მისხნის გზაში ბექა გონაშვილი – დედოფლისწყაროში ფერმერთა მომსახურების ცენტრი გავხსენი. მანამდე ვეტპრეპარატების აფთიაქი მქონდა, შემდეგ შხამქიმიკატები და სასუქები შემოვიტანე. 2013 წელს „კახეთი მოლი“ პროექტის დახმარებით ხელოვნური განაყოფიერების ოთხი ზოოტექნიკოსის გადამზადება შევძელი. თავიდან ოთხი სპეციალური ჭურჭელი (დივუარი) მომცეს და დავინყეთ ხელოვნური განაყოფიერება.

რეგიონში ამ მხრის საკმაოდ რთული ვითარებაა. ფურების გასანაყოფიერებლად ყველა სოფლის ბუღას იყენებს, რაც დაახლოებით 10-15 ლარი ღირს. ჯიშის გაუმჯობესება არ ხდება, საქონელი დაკნინებულია, ბუღაც გადაგვარებულია, მაგრამ გლეხები ამას ყურადღებას არ აქცევენ. ისინი მცირე-

დითაც კმაყოფილებიან, ძირითადად რძეზე არიან ორიენტირებულნი, ხბოებს არ იჩერებენ, 2-3 თვისას იშორებენ თავიდან. ამიტომ ბევრისთვის რთულია ასახსნელად, რატომ სჯობს ხელოვნური განაყოფიერება და ამაში თუნდაც ხუთი ლარით ზედმეტის გადახდა, გადაგვარებული ბუღის გამოყენებას. ამიტომ თავიდან ზარალზე მუშაობა დავიწყე. ხალხს, შედეგი რომ დაენახათ, სერვისის ვჩუქნიდი. პირველ წელს მხოლოდ 50-მდე საქონლის განაყოფიერება მოვახერხეთ. პირველი ხბოები დაიბადა, ხალხმა დაინახა, რომ შედეგი ამკარაა, ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ჯიშის ხბო ბუღით მიღებულ ხბოსთან შედარებით უკეთესია, დიდია, სწრაფად იმატებს წონაში, დარწმუნდა, რომ ტყუილად იკავებს თავს, შედეგი...მოეწონა და ახლა თვითონ მოდიან. მაგალითად, სოფელ მაჩხანაში 100 სულამდე ფური გვყავს ხელოვნურად განაყოფიერებული. მომავალ წელს უკეთესი შედეგი გვექნება.

ხალხისგან ასეთ დაინტერესებას მაინც არ ველოდი. რეზონანსი დიდია, ამიტომ გაფართოებაზე და განვითარებაზე დავინყეთ ზრუნვა, რათა უკეთესი შედეგის უზრუნველსაყოფად უფრო სრულყოფილი სერვისის შეთავაზება შეგვძლებოდა მეცხოველეობისთვის. „კახეთი მოლის“ დახმარებით საკვების დამამზადებელი საამქროს მშენებლობა დავინყეთ. მალე გლეხებს საქონლის, ღორის, ფრინველის საკვებს შევთავაზებთ, რომელიც დაბალანსებული იქნება საკვები ელემენტებით და დაეხმარება მათ პროდუქტიულობის გაზრდაში; აქვე გვყავს გამოცდილი ვეტერინარები, ვინც კონსულტაციასაც გაუწევს და თუ საჭირო გახდება ადგილზეც დაეხმარება. გვაქვს პესტიციდები, სა-



სუქები, მარცვლეული კულტურების ხარისხიანი სათესლე მასალა და პლუს ეს ხელოვნური განაყოფიერება, რასაც ბავშვივით ვუფრთხილები და ველოლიავები, რადგან მინდა ეს პროექტი განსაკუთრებით წარმატებული იყოს, საყოველთაოდ დაინერგოს.

უკვე ფერმაში ვართ. ეს ზებუ ორწლიანხვერისაა – მაჩვენებს ბექა და მიხსნის, რომ ერთი წლისა 320 კილოგრამს იწონიდა, თუმცა ისეთივე პირობებში იზრდებოდა, როგორც სხვა ხბოები. არანაირი სპეციალური დანამატები მისთვის არ მიგვიცია, ხალხმა რომ არ თქვას, ამას სპეცკვება სჭირდებაო.

– ხბოები რომ დაიბადებიან, რამდენიმეს თავიდანვე დავანყებინებთ სპეციალური სქემით კვებას. მინდა ერთწლიანმა ხბომ 400-450 კგ-მდე მიაღწიოს და აქაურმა ფერმერებმა ეს თავისი თვალით ნახონ. მათ საძოვარზე აღარ გავიყვანთ, ბაგურ კვებაზე დავაყენებთ. ეს ზებუ დაახლოებით 7 თვისაა, ნახე რამხელაა?! ესეც ანგუსია. ეს ზებუ დეკემბერში დაიბადა, უკვე 9 თვისაა – ყველას სათითაოდ მიხასიათებს და მაჩვენებს ბექა – ამათ რომ ნორმის მიხედვით ეძლეოდეს საკვები, დღეს აქ ნამდვილ საოცრებას ვნახავდით, მაგრამ ნახეთ მაინც რა „სუპერია“.

– როგორ არჩევთ გასანაყოფიერებელ საქონელს, საიდან მოგაქვთ ხარისხიანი სპერმა? – ვეკითხები ბექას.

– სპერმას „კავკასიის გენეტიკიდან“ ვიღებთ. ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია, მაგრამ პრობლემა ხშირად ადგილზე, ფურამდე მისვლაა ან მეპატრონე ვერ გვიკავშირდება დროულად. ახურების პერიოდი უსასრულოდ არ გრძელდება, დაავიანებ და გაფუჭდა საქმე, ბულა თავის საქმეს

აკეთებს. ამიტომაც ჭირს. წლეულს ცუდი წელიწადი იყო, საკვები საკმარისი რომ არ იყო, პირუტყვი დაკნინდა, ვერ ხურდებოდა. ზოგჯერ ტექნიკოსი ვერ მიდის დროზე და ფურები ცდება, ამიტომ ზოოტექნიკოსები მეტი უნდა იყვნენ, ან თვითონ მომვლელ ფერმერებს, ვინც მონადინებულია, ტრენინგები ჩაუტარდეს, რომ შეისწავლონ ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკა და თვითონვე ოპერატიულად მოაგვარონ ეს პრობლემა. ამაში რთული და შეუძლებელი არაფერია.

– რატომ ვერ ხერხდება ამის გაკეთება, როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

– სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ეს საქმე, რადგან სერვისი ძვირი ჯდება. მაგალითად, „კავკასიის გენეტიკიდან“ ყველაზე დაბალხარისხიან, იაფ სპერმას 15 ლარად ვიღებ. ზებუ და ანგუსი 17 და 22 ლარი ღირს. ამას ემატება მისი ტრანსპორტირება, აზოტში შენახვა, შალითები, რითაც განაყოფიერება ტარდება, ტექნიკოსის მომსახურება დაბევრით – 10 ლარი, საბოლოოდ ძალიან ძვირი გამოდის. როგორც გითხარი, ბულის მომსახურება 10-15 ლარია. როგორ გინდა კონკურენცია გაუწიო.

უცხოეთში მთელი ეს პროცესი 17-20 ლარამდე ჯდება. მინდა ამ დონემდე დავიდე. სხვაგვარად აქ ბუღას კონკურენციას ვერ გავუწევთ.

არადა შედეგი ნათელია. პირველივე შეჯვარებით დედ-მამაზე უკეთეს ინდივიდს იღებ. სელექციაში ასეა, პირველი განაყოფიერება რა მასალითაც მოახდინე, მეშვიდე განაყოფიერებაც იმავე მასალით უნდა დაასრულო და მაშინ ვიღებთ სუფთა ჯიშს, ამას კი წლები და დიდი შრომა სჭირდება.

ჩემი აზრით, ხელოვნური განაყოფიერებით ადგილობრივ ჯიშებზე შეჯვარებით ჯიშიანი საქონლის ეტაპობრივად გამრავლება სჯობია უცხოეთიდან პირდაპირ ჯიშიანი მეხორცული თუ მერძეული პირუტყვის შემოყვანას. როცა ჯიშიანი საქონელი ადგილობრივ დედაზე განაყოფიერებული, მას დაავადებების მიმართ რეზისტენტობა დედისგან გადაეცემა, ხოლო პროდუქტიულობა – მამისგან.

შემოჰყავთ უცხოეთიდან ჯიშიანი საქონელი, მაგრამ ყველას პრობლემები აქვს. ადრე სახელმწიფომ შემოიყვანა 500 თუ 1000 სული და მათგან სამი სულიაა დარჩენილი. ამიტომ იგივე რომ არ განმეორდეს, ჯობს სასურველ შედეგამდე ნელ-ნელა მივიდეთ.

– ზებუ და ანგუსი როგორ ვგუებთან დაავადებას?

– ესენი ველური საქონელია. მაგალითად დაავადება პიროპლაზმოზი, იგივე ნაბარევი ზებუს არ ხვდება, რადგან გენში ბუნებრივი იმუნიტეტი აქვს, რაც დაავადებისგან იცავს. იგივე შეიძლება ითქვას ემკარზეც. თუ ჩვეულებრივად ეს დაავადება საქონლის 40%-ს აღენიშნება, ზებუს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ორჯერ ნაკლები – 17-18%-ია.

– საერთოდ დაავადების მხრივ როგორ ვითარებაა რეგიონში, სწავლობს ვინმე რა დაავადებები გავრცელებული აქ?

– არავინ. ბრუცელოზია გავრცელებული ძალიან. ახლა იწყებენ გამოკვლევას. მიღებული შედეგის მიხედვით დაიგეგმება სტრატეგია და საყოველთაო შემოწმება. მაგრამ აქ ერთი მეტად მწვავე პრობლემაა გადასაჭრელი. როგორც წესი, ბრუცელოზიანი საქონელი უნდა განადგურდეს! სხვაგვარად პრობლემა არ მოგვარდება. წარმოიდგინეთ, გლენტან მიდინარ, რომლის სამი ძროხიდან ორი აღმოჩნდა ბრუცელოზით დაავადებული და უხსნი, რომ დაავადებული ცხოველები უნდა გაანადგუროს... ამ დროს ზარალს ვინ აანაზღაურებს? მთლიანად გლენტის კისერზე უნდა გადაიაროს ამან თუ სახელმწიფოც იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას? რა შედეგი მოჰყვება, რა დაუჯდება ეს ბიუჯეტს?

საქართველოში დაუზუსტებელი მონაცემებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 40% ბრუცელოზითაა დაავადებული. ცხვარში ეს დაავადება ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ბოლო წლებში იქაც მოიმატა, არადა, თუ გვინდა ამ დაავადებისგან განვთავისუფლდეთ, დაავადებული საქონელი უნდა განადგურდეს, შემდეგ სუფთა დედისგან მიღებული ნამატი სპეციალური პროგრამით რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა აიცრას, რომ იმუნიტეტი გამოუმუშავდეს და ბრუცელო-



ზით აღარ დაავადდეს. ბრუცელოზის გარდა სხვა დაავადებებიც ხომ არის. ადრე კი სწავლობდნენ, მაგრამ ახლა რა მდგომარეობაა, არავინ იცის.

ქვეყანაში ვეტექიმები აღარაა. მათი საშუალო ასაკი 58 წელია. ახალგაზრდები ამ სფეროში საერთოდ არ არიან. თუ ვინმე ვეტერინარიის ფაკულტეტს ამთავრებს, კატების, ძაღლების, ლომების და ვეფხვების ექიმად მიდის, ფერმაში მუშაობა არავის უნდა. ვიხ-

ვენები, რომ ახალგაზრდა ვეტერინარი დავაინტერესო ვინმე, ინტერნეტითაც გამოვაცხადე, ისეც მოვიძიე, მაგრამ ჯერჯერობით სერიოზულად ვერავინ დავაინტერესე. კიდევ 10 წელიწადი და ქვეყანაში მოქმედი ვეტერინარი ფიზიკურად აღარ გვეყოლება. ანალოგიური ვითარებაა ზოოტექნოლოგიების და სხვა სპეციალისტების მხრივაც.

დედოფლისწყაროში, სადაც ამდენი სახნავ-სათესია, აგრონომს ვერ ნახავთ

- ვერც ხანშიშესულს და ვერც ახალგაზრდას. ორი-სამი კაცია, რომელიც თავის მამულს უფლის და როგორც აგრონომი არ მუშაობს, რადგან ფიზიკურად არ არსებობს.

ეს უნდა იყოს სახელმწიფო პრიორიტეტი. ქვეყანა წარმატებული რომ იყოს, ვეტერინარიც სჭირდება, ზოოტექნიკოსიც და აგრონომიც. ისე წარმატება არ მიიღწევა.

*შურთა გაჭარბებული*

**სპეციალისტი ბირჩვთ**

**როგორ დავვაგოთ პროფესიკურ-გაბიური ვეტერინარული ღონისძიებები საოჯახო მეურნეობაში**

საქართველოში შინაური პირუტყვისა და ფრინველის მოვლის კულტურა დაბალ დონეზეა, რასაც ძველანაში გავრცელებული მძიმე თუ ნაკლებად საშიში დაავადებების გავრცელებაც მოწმობს.

დაავადება ცხოველისა და ფრინველისთვის ხშირად შეიძლება მომაკვდინებელი არ არის, არც ადამიანს უქმნიდეს საფრთხეს, მაგრამ მკვეთრად ამცირებს პროდუქტიულობას. არადა თავად იმ პირუტყვისგან მიღებული შემოსავლის სულ მცირე ნაწილია საჭირო, რომ პირუტყვი ან ფრინველი ჯანმრთელი იყოს.

გთავაზობთ პროფესიონალი ვეტერინარების შედგენილ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ნუსხას, რაც მთელი წლის განმავლობაში თქვენ ფრინველს, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა ცხოველებს დაიცავს დაავადებებისგან (მათ ავადმყოფობას ხშირად ჩვენ ვერ ვამჩნევთ, ან არ ვიმჩნევთ), რაც იმის გარანტიაა, რომ მეტი ჯანსაღი რძე, კვერცხი და ხორცი გვექონდეს.



ცხვრის გაბიური ვეტ-პროფილაქტიკური ღონისძიებები( 1 სულზე)					
ვეტ-ღონისძიებების დასახელება	წლის პერიოდი	პრეპარატის დასახელება	დოზა	ფასი	ჯამი(Gel)
ავიტამინოზის პრევენცია	15.01- 26.02	ინტროვიტი 100 მლ	15 მლ	8	1,2
დეჰელმინტიზაცია	15,03	დაქსოფენი 900 №100	1 აბი	14	0,14
ვაქცინაცია(ბრადზოტი,ენტერ.ტოქს)	25,03	კოგლავაქსი 100 მლ 50 დოზა	2 მლ	16	0,32
დეჰელმინტიზაცია	1,04	ზულატელი 10% 250 მლ	3 მლ	16	0,19
ვაქცინაცია ( თურქული)	15,04	სახელმწ.პროგრამა		უფასო	0
ვაქცინაცია(ბრადზოტი,ენტერ.ტოქს)	25,04	კოგლავაქსი 100 მლ 50 დოზა	2 მლ	16	0,32
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	30,04	დიაზინი 600 1ლ		22	0,04
პიროზლაზმოზის პროფილაქტიკა	5,05	სექუზანი 30 მლ	3 მლ	4,5	0,4
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	25,05	დიაზინი 600 1ლ		22	0,04
დეჰელმინტიზაცია	5,06	ივერმიკი 10 მლ	1 მლ	2	0,2
ვაქცინაცია ( თურქული)	15,08	სახელმწ.პროგრამა		უფასო	0
დეჰელმინტიზაცია	20,08	დაქსოფენი 900 №100	1 აბი	14	0,14
დეჰელმინტიზაცია	5,09	ზულატელი 10% 250 მლ	3 მლ	16	0,19
პიროზლაზმოზის პროფილაქტიკა	12,09	სექუზანი 30 მლ	3 მლ	4,5	0,4
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	20,09	დიაზინი 600 1ლ		22	0,04
ავიტამინოზის პრევენცია	01.10-13.11	ინტროვიტი 100 მლ	15 მლ	8	1,2
				სულ	4,82

ფერადი ძაბვის გავრცელებული ვებ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ( 1 ფრთაზე)					
ვეტ-ღონისძიებების დასახელება	წლის პერიოდი	პრეპარატის დასახელება	დოზა	ფასი	ჯამი(Gel)
ავიტამინოზის პრევენცია	15,03	ინტროჩიკი ამპ 5 მლ		0,5	0,05
ანტიბიოტიკოთერაპია	15,03	ენროფლოქსაცინი ამპ 2 მლ		0,3	0,06
ვაქცინაცია( ჭირი+ბრონქიტი)	16,03	ვიტაბრონ L 1000 დოზა	1 დოზა	9	0,009
ვაქცინაცია ( ინაქტ. ნიუკასლი)	18,03	ND K 1000 დოზა	1 დოზა	25	0,025
ანტისტრესული საშუალება	19.03-22.03	სტრესმიქსი 100 გრ	5 გრ	5	0,25
ვაქცინაცია ( ნიუკასლი)	27,03	ნიუ L 1000 დოზა	1 დოზა	7	0,007
ვაქცინაცია ( გამბრო)	1,04	გამბო L 1000 დოზა	1 დოზა	9	0,009
ავიტამინოზის პრევენცია	2.04-5.04	AD3E CK ამპ 5 მლ		0,5	0,05
ვაქცინაცია ( ნიუკასლი)	7,04	ნიუ L 1000 დოზა	1 დოზა	7	0,007
ანტიბიოტიკოთერაპია	8.04- 10.04	დადოქსინი 200 100 მლ	5 მლ	5	0,25
ავიტამინოზის პრევენცია	8.04- 10.04	ინტროჩიკი ამპ 5 მლ		0,5	0,05
დეჰელმინთიზაცია	20,04	ფენბეზი 500 № 100	0.1 აბი	10	0,01
დეჰელმინთიზაცია	30,04	ფენბეზი 500 № 100	0.1 აბი	10	0,01
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	5,05	კარბავეტინი 0.05 გრ	5 გრ	2	0,2
ავიტამინოზის პრევენცია	05.05- 10.05	ინტროჩიკი ამპ 5 მლ		0,5	0,05
ავიტამინოზის პრევენცია	5,06	ტოტალფიდი ნინილა 100 გრ	15 გრ	1,5	0,22
ავიტამინოზის პრევენცია	5,07	ტოტალფიდი კვერცხ. 100 გრ	15 გრ	1,5	0,22
დეჰელმინთიზაცია	5,08	ფენბეზი 500 № 100	0.1 აბი	10	0,01
ვაქცინაცია ( ჭირზე)	10,09	H ვაქცინა 100 დოზა	1 დოზა	1	0,01
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	20,09	კარბავეტინი 0.050 გრ	5 გრ	2	0,2
ავიტამინოზის პრევენცია	5.10-10.10	ინტროჩიკი ამპ 5 მლ		0,5	0,05
				სულ	1,747

მს.რძოსანის გავრცელებული ვებ-პროფილაქტიკური ღონისძიებები( 1 სულზე)					
ვეტ-ღონისძიებების დასახელება	წლის პერიოდი	პრეპარატის დასახელება	დოზა	ფასი	ჯამი(Gel)
ავიტამინოზის პრევენცია	10.01-10.02	ტოტალფიდი მწ.ფური 100 გრ	300 გრ	1,5	4,5
დეჰელმინთიზაცია	10,03	ალბენდაზოლ 300 № 40	1 აბი	20	0,5
დეჰელმინთიზაცია	24,03	ინტერმექტინ სუპ. 50 მლ	5 მლ	13	1,3
ვაქცინაცია ( ვილხეზი)	1,04	სახელმწ.პროგრამა		უფასო	0
ვაქცინაცია ( თურქული)	15,04	სახელმწ.პროგრამა		უფასო	0
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	20,04	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
ვაქცინაცია (ემკარი,ენტ.ტოქს)	25,04	კოგლავაქსი 100 მლ 25 დოზა	4 მლ	16	0,64
პიროპლაზმოზის პროფილაქტიკა	5,05	ფატრიბანილი	15მლ	2	2
ვაქცინაცია ( პასტერელოზი)	15,05				
ვაქცინაცია (ემკარი,ენტ.ტოქს)	25,05	კოგლავაქსი 100 მლ 25 დოზა	4 მლ	16	0,64
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	10,06	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
ავიტამინოზის პრევენცია	20.06-20.07	AD3E Microsule 100 მლ	5 მლ	10	0,5
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	10,07	ექტოსულე 0 1 ლ	10 მლ	40	0,4
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	10,08	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
პიროპლაზმოზის პროფილაქტიკა	5,09	ტრისტემიკი 50 მლ	7 მლ	9	1,29
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	15,09	ექტოსულე 0 1 ლ	10 მლ	40	0,4
ავიტამინოზის პრევენცია	1. 10-13.11	ინტროვიტი 100 მლ	35 მლ	8	2,7
ვაქცინაცია ( თურქული)	10. 10	სახელმწ.პროგრამა		უფასო	
დეჰელმინთიზაცია	25. 10	ოქსიკლოზანიდი 3000 №40	1 აბი	30	0,75
დეჰელმინთიზაცია	10,11	ინტერმექტინ სუპერი 50 მლ	6 მლ	13	1,93
				სულ	18,75

ღორის გაზვიური ვებ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ( 1 სულვი)					
ვეტ-ღონისძიებების დასახელება	წლის პერიოდი	პრეპარატის დასახელება	დოზა	ფასი	ჯამი(Gel)
ავიტამინოზის პრევენცია	15.01- 26.02	ინტროვიტი 100 მლ	25 მლ	8	2
დეჰელმინთიზაცია	1,03	ტეტრამიზოლი აბი № 100	10 აბი	7	0,7
დეჰელმინთიზაცია	11,03	ლევა 100 100 მლ	10 მლ	5	0,5
ვაქცინაცია ( კლასიკური ჭირი)	15,03	კოგლაპესტი 10 დოზა	1 დოზა(2მლ)	4	0,4
ვაქცინაცია ( წითელი ქარი)	22,03	ერისიპრავაკი 50 დოზა	1 დოზა(2მლ)	35	0,7
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	1,04	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	15,04	კარბავეტინი 0,050 გრ	20 გრ	2	0,8
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	1,05	ექტოსულე 0 1ლ	10მლ	40	0,4
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	1,06	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
დეჰელმინთიზაცია	8,06	ივერმეკი 20 მლ	6 მლ	2	1,2
ავიტამინოზის პრევენცია	10.06-20.06	ტოტალფიდი ღორი 100 გრ	100 გრ	1,5	1,5
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	1,07	კარბავეტინი 0,050 გრ	20 გრ	2	0,8
ავიტამინოზის პრევენცია	15.07- 13.08	ვიტოლი 140 100 მლ	30 მლ	6	2
ენდო პარაზიტებზე დამუშავება	1,09	ექტოსულე 0 1ლ	10 მლ	40	0,4
ვაქცინაცია ( კლასიკური ჭირი)	15,09	კოგლაპესტი 10 დოზა	1 დოზა(2მლ)	4	0,4
ვაქცინაცია ( წითელი ქარი)	22,09	ერისიპრავაკი 50 დოზა	1 დოზა(2მლ)	35	0,7
დეჰელმინთიზაცია	1. 10	ალბენდაზოლი 360 ბლ № 100	15 აბი	6	1
დეჰელმინთიზაცია	12. 10	ლევა 100 100 მლ	15 მლ	5	0,75
ავიტამინოზის პრევენცია	1.11-15.11	ტოტალფიდი ღორი 100 გრ	100 გრ	1,5	1,5
				სულ	16,55

ახალგაზრდა ფერმერი

# ყორად, ზურა!

სანტიარსო ახალგაზრდა ფერმერი გავიცანი დედოფლისწყაროში. კალიან მომეწონა და გადავწყვიტე თქვენც გაგაცნოთ, რადგან ვფიქრობ, რომ ასეთი ახალგაზრდები აძლიერებენ ქვეყანას და საზოგადოება მათ უნდა იცნოდეს. მართო უნიჭო პოლიტიკოსი და ტალღანამყვანი არ უნდა იყოს ქვეყანაში „ცნობადი სახე“!

ზურაბ მასურაშვილი 25 წლისაა, მაგრამ იმ საქმეში, რასაც მესაქონლეობა ჰქვია, უკვე კარგი გამოცდილება დაუგროვდა – პაპას პატარაობიდანვე ვეხმარებოდი საქონლის მოვლაში, უკვე მეხუთე წელიწადია მართო ვუვლი მეურნეობას – მიყვება ფერმერობის დანაშაუბის ამბავს ზურა და მეცხოველეობის მშენებარე ფერმას მათვალეერებინებს .

– ამ ადგილზე პაპას ფერმა იდგა, დაბალჭერიანი, ვინრო ძველებური შენობა იყო, 60-70 სული საქონელი ჰყავდა. ის დავანგარიე და ზუსტად იმავე ადგილზე გადავწყვიტე ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფერმის აგება, რომელიც 50 სული მაღალპროდუქტიული საქონლისთვისაა განკუთვნილი.

ასეთი ფერმის მშენებლობას საკმაოდ სოლიდური სახსრები სჭირდება. ამდენი თანხა არც მე და არც ჩემ ოჯახს არ ჰქონდა. ამიტომ ვიდრე მშენებლობას დავიწყებდი ძროხების ნაწილი გავყიდე, სულადობა 25-მდე შევამცირე. გარკვეული თანხა ამით მოვაგროვე, ამას ბანკიდან აღებული სესხიც დავუმატე და მშენებლობაც დავიწყე.

– **იაფი კრედიტის პროგრამით არ ისარგებლეთ?**

– სამმა ბანკმა მითხრა უარი, რამდენიმე თვე ვინვალე, ბოლოს „პროკრედიტბანკმა“ ჩათვალა, რომ ჩემი პროექტის და-



ფინანსება მიზანშეწონილი იქნებოდა. დროულად რომ მიმელო სესხი – ბანკიდან ბანკში სირბილში სამი თვე დავკარგე – ეს ფერმა უკვე დამთავრებული მექნებოდა.

19-პროცენტის სესხი გამიფორმეს, მაგრამ მე მხოლოდ 7 პროცენტს ვიხდი. დანარჩენს სახელმწიფო მიფარავს.

– **25 ათასი ყოფნის მერე ამ საქმეს?**

– ნახევარიც არ არის, მაგრამ საქონელი ხომ მყავს, რაღაც შემოსავალს ისიც მაძლევს, რასაც მშენებლობის გარდა სესხის დასაფარადაც ვიყენებ.

– ჯიშის დროების შემოყვანას ფიქრობთ თუ კვლავ ადგილობრივ ჯიშს მინიჭებთ უპირატესობას?

– ჯერჯერობით რაც მყავს, იმით ვმუშაობ. ვფიქრობ პროდუქტიული საქონლის შესაძენად ისევე ბანკს მივმართო. დაბალპროცენტოვანი სესხს თუ ავიღებ, გარკვეული რაოდენობის ძროხებს შემოვიყვან, მერე თვითონ გავამრავლებ.

– სესხის დაფარვას უკვე გთხოვენ?

– რასაკვირველია, უკვე მეოთხე თვეა ვიხდი. განრიგს არ ვარღვევ.

– ჩვენთან ახალგაზრდები სოფლის მეურნეობით მაინც-დამაინც არ ინტერესდებიან, ქალაქისკენ უჭირავთ თვალი, საქმიანობის სფეროდ უფრო ისეთ დარგს ირჩევენ, სადაც ნაკლები დატვირთვაა. მენ მეცხოველეობის ფერმას აშენებ, ტრადიციებს არ ღალატობ თუ მეცხოველეობა მომგებიანი საქმეა, რაც ღირს „მსხვერპლის“ გაღებად?

– ჩვენ ახლა ელიას მთის კალთაზე ვიმყოფებით, იქ, მაღლა წმიდა ელიას სალოცავია. ძალიან ლამაზი ადგილებია, მაგრამ რთული კლიმატური პირობებია, ზამთარში ცივა, ზაფხულში ცხელა. აი, წლეულს აპრილის შემდეგ ნალექი არ მოსულა. მთლიანად განადგურდა სიმინდიც, ხორბალიც, ქერიც, მზე-სუმზირაც. მარცვლეული კულტურები 22 ჰექტარზე გვეთესა, უზარმაზარი ზარალი ვნახეთ. საქონლისათვის საკვების მოპოვება უკვე პრობლემაა. აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, მომგებიანია თუ არა ეს საქმე. არც ტრადიციასა გადამწყვეტი, უბრალოდ მიყვარს ეს საქმე. ვილაცისთვის ეს შეიძლება დაუფერებლად ჟღერს, მაგრამ ასეა. მინდა, რომ ამ საქმეში სიახლე შემოვიტანო, კარგი ჯიშის საქონელი გავამრავლო, თანამედროვე ტექნოლოგიები დავენერგო და კარგი შედეგი მივიღო.

დღეს მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ძროხები გყავს. ჩვენი პირობებისთვის შედარებით თითქოს არაუშავს, მაგრამ ეს ის არ არის, რაც მჭირდება.

– წელიწადში საშუალოდ რამდენ რძეს იძლევა ერთი ძროხა?

– მთლიანად მოვლაზე დამოკიდებული. გააჩნია, როგორ კვება. ჩვენთან ზამთარში, ზაფხურ კვებაზე საქონელი უფრო მეტს იწველება, ვიდრე – საძოვარზე გაშვებული. ძველ ფერმაში ზაფხულში საქონელს ვერ ვაჩერებდით, რადგან შენობა არ ნიავედებოდა. სათანადო პირობები არ იყო და იძულებული ვიყავით, გაზაფხულდებოდა თუ არა, საძოვარზე გამოგ-

ვეყვანა. მაგალითად, ძროხა, რომელიც ზამთარში 22 ლიტრ რძეს იწველება, მისი მონაწველი ზაფხულში 17-15 ლიტრამდე მცირდება. დღეს, იგივე ძროხა 5 ლიტრზე მეტს ვეღარ იწველება, რადგან საკვები არ არის, გადამხმარია ყველაფერი.

ზაფხური კვების პირობებში პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად საქონელი დაავადებისგანაც დაცულია. საძოვარი სხვადასხვა დაავადებებითაა დაბინძურებული, განსაკუთრებით ბრუცელოზია გავრცელებული. ვაქცინაცია არ ხერხდება. ძროხა თუ დაავადდა, უნდა მოიშორო.

– თქვენ თავად რომ აცრათ, პრევენციულ ზომებს მიმართთ?

– საქართველოში ბრუცელოზის ვაქცინა არ იშოვება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაზაფხულზე უნდა დაენყო კვლევა. მერე გავიგეთ, შემოდგომისთვის გადაიდო, მგონი უკვე დაიწყეს.

– აბა როგორ აკონტროლებთ დაავადებულთა თუ არა თქვენი საქონელი?

– ყოველწლიურად სისხლის ანალიზს მე თვითონ ვიღებ, მიმაქვს ლაბორატორიაში და ვამოწმებ, აბა რა ვქნა.

– ძვირი ჯდება ანალიზების ჩატარება?

– არა, არც ისე ძვირი.

– ვეტერინარი გემსახურებათ?

– სად არის ვეტერინარი. მე თვითონ ვუვლი, ვმკურნალობ და ვუნევ მეთვალყურეობას.

– საამისო განათლება და გამოცდილება გაქვს?

– მეორე პროფესიით ვეტერინარი ვარ, ჯანდაცვის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში სპეციალური კურსებიც გავიარე. რაც არ ვიცი კიდევ, ვსწავლობ.

– ცოლშვილიანი ხარ?

– არა, ჯერჯერობით დასაოჯახებელი ვარ.

– და-ძმა გყავს?

– დედისერთა ვარ.

ფფიქრობ, ცუდი საქციელი არ ჩავიდინე, ასეთი ახალგაზრდა რომ გაგაცანით.

ზურა მასურაშვილისთანა ბიჭები სჭირდება დღეს საქართველოს, ამიტომ მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ!

აპს

საბანკური

ჩინური

დასახელება „ჩინური“ ბარკვეულ წრეებში დღემდე კამათს იწვევს და სამწუხაროდ ჩვენს დროშიც არიან ადამიანები, რომლებსაც ჩინური ჩინეთიდან შემოტანილი ჯიშის ჰომონატი. ძარბული გლახების ნაწილი ჩინურს ჩინეულსაც ეძახის და ზოგიერთი ამაველოგრაფი ფიქრობს, რომ ჩინურის სახელწოდება სწორედ ჩინეულსაც — ანუ ჯიშის განსაკუთრებულად ხარისხიანობას უკავშირდება.

თუმცა, ალბათ, უფრო მეტად ყურადღება ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომელსაც ქართველი ამპელოგრაფი მაქსიმე რამიშვილიც იზიარებს. ჯავახიშვილმა ქართლში გავრცელებული ენობრივი ფორმების კვლევით დაასკვნა, რომ ჩინურის სახელწოდება ამ ჯიშის ყურძნის შეფერილობას უნდა უკავშირდებოდეს. ჩინურის მარცვლები ძალიან წააგავს ზეთისხილის ფოთლის ფერს, რომელსაც ქართლში „ჩინს“ ეძახიან. შესაბამისად, საკმაოდ მისაღებად უნდა



მივიჩინოთ ვარაუდი, რომ ჩინურის სახელწოდება მტევნის „ჩინისებრი“ შეფერილობიდან ჩამოყალიბდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ კასპის რაიონში ჩინურს „კასპურ თეთრსა“ და „კასპურასაც“ ეძახიან, თუმცა ვაზის ამ სახელწოდებას კასპის მტკვრისპირეთის თითო-ოროლა სოფელში თუ გაიგებთ. ასე რომ, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩინურის აბორიგენულობაზე და ქართულობაზე პირველ რიგში მისი სახელწოდება მეტყველებს.

# „ჯვარი“ - ვაზის მივიწყებული კვლეი ქართული ჯიუი

მრავალჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ და ვიტყვით, რომ ადგილობრივი ვაზის ჯიუების სიმრავლისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით საქართველო უთუოდ გამორჩეული ქვეყანაა. თუმცა, რიგი მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის კუთხეებში ძირითადად 2-3 ვაზის ადგილობრივი ჯიუი გვხვდება და ამ გარემოებას, როგორც იტყვას, აქვს კიდევაც თავისი მიზეზი. ერთსა და ორ დღეში თუ ნაღვი ჩვენი ქართული ვაზის ჯიუები არც შექმნილა და არც გამძალა. ეს პროცესები და მიტადრა ქართული ვაზის ჯიუების გამომყვანა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა...

რაც შეეხება ვაზის ჯიუების გაქრობისა თუ შემცირების საკითხს, ამის მიზეზად ორი უმთავრესი საგანი გვევლინება. საქართველოში შემოჭრილი შორეული თუ მეზობელი მტერი განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა ქართულ გენსა და ქართულ ვაზს. ამის გამოისობით ხშირად ამა თუ იმ სოფელში ვენახები პირნიმინდად იჩეხებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ვაზის ჯიუი მხოლოდ ერთ კონკრეტულ სოფელში იყო გავრცელებული, მაშინ დიდად სავარაუდოა, რომ ზოგიერთი ქართული ვაზის ჯიუი სწორედ ამგვარად იყო გამქრალი. თუმცა მეორე მიზეზი, თუ რისთვისაც შემცირდა და თითქმის გაქრა ქართულ ვაზის ჯიუთა მდიდარი სორტიმენტი ისაა, რომ ქართული ღვინო საქართველოს ისტორიის ახლო წარსულში პირისპირ აღმოჩნდა რუსული ყოვლისჩამთქმელი ბაზრის წინაშე, რაც, შეიძლება ითქვას, რომ დამლუპველად აისახა ქართული მეღვინეობის მიმართულებაზეც და ქართული ვაზის ჯიუებზეც. აქვე ერთი სიმართლეც უნდა ითქვას, რომ ამ ყოველივეს ჩვენი ნება/დასტურიც ახლდა და შექმნილი პრობლემის გადამთიელებისათვის დაბრალება არ უნდა იყოს მთლად მართებული. ცხადია, ამა თუ იმ მხარეში ერთდროულად ყველა ადგილობრივი ვაზის ჯიუი ერთნაირი დატვირთვისა ვერ იქნება, მაგრამ არც ის უნდა იყოს მართებული, რომ მაგალითად ქართლი, ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი რეგიონი ჩინებულის, თავკვერისა და გორული მწვანის ანაბარა დარჩენილი. არადა ქართლი ნიადაგურ-კლიმატური პირობების თვალსაზრისით მევენახეობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო რეგიონია. დღესდღეობით ორი კინკლა ჯიუის ანაბარა დარჩენილი ეს რეგიონი 100-მდე ადგილობრივი ვაზის ჯიუითაა განთქმული. თუ აქაურ ტოპონიმებს მივმართავთ, ბევრი სოფლისა და ადგილის ჩამოთვლა შეიძლება, რომელთა სახელდება სწორედ ვაზთან და ღვინოსთანაა მიმართებაში,

რაც იმისი მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ მხარეში ვაზის კულტურა ძლიერად იყო გამჯდარი. ალბათ სამარცხვინოც კია ის გარემოება, რომ ვაზისა და ღვინის კულტურის ამგვარ უნიკალურ მხარეში მევენახეობის მხოლოდ ერთადერთი განსაკუთრებული ადგილი ანუ მიკროზონაა – ატენი. არადა რეგიონში ნამდვილადაა იმისი პოტენციალი, რომ არსებობდეს არა ერთი, არამედ ათეულობით მევენახეობის მიკროზონა... მაგრამ ერთი რამაა გასათვალისწინებელი და კერძოდ ის, რომ ზოგიერთი მიკროზონა ნიადაგურ-კლიმატური პირობების თვალსაზრისით მართალია მაღალხარისხიანი ყურძნის მოყვანის საშუალებას იძლევა, მაგრამ ეს გარემოება ვაზის აბსოლუტურად ყოველ ჯიუზე ერთნაირად არ ვრცელდება. თუ, მაგალითად ზოგიერთი ადგილი ძალიან კარგია შავკაპიტოსათვის, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამავე ადგილას აუცილებლად მაღალხარისხიანი გორული მწვანე ან სხვა რომელიმე ჯიუი მოიწევა. საინტერესო ისაა, რომ ყოველი ქართული ვაზის ჯიუი მათი ბუნებიდან გამომდინარე ღვინის ქართულად დაყენების თვალსაზრისით ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს.

ისე, როგორც მთელი საქართველო, ქართლიც მეტნაკლებად მთავორიანი რეგიონია, თუმცა სიმალისა და სიცივეების მიუხედავად ქართლში ყურძენი თითქმის ყველგან მოდის. შესაბამისად რეგიონის მაღალ ადგილებში ისეთი ვაზის ჯიუები გვხვდებოდა, რომლებიც ხსენებულ მკაცრ პირობებს იყო შეგუებული.

ერთ-ერთი ასეთი ვაზის ჯიუი, რომელიც კარგად ეგუება სიმალესაც და ზამთრის ყინვებსაც, ესაა ქართლის თეთრყურძენიანი მცირედ გავრცელებული ვაზის საღვინე ჯიუი – „ჯვარი“, რომელიც სამწუხაროდ თითქმის გადაშენებულია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართლშივე ეს ჯიუი სულ რამდენიმე მეურნის კარმიდამოში გვხვდება ერთეული ნარგაობის სახით. ჯიუი და-



ცულია საქართველოს ამპელოგრაფიულ ნაკვეთებში. სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მცირედი მახასიათებელი ცნობები მოგანოდოთ ამ ჯიუის შესახებ (არსებობს წითელყურძენიანი სახეობათაშორისი ჰიბრიდი, რომელიც „ჯვარისას“ სახელითაა ცნობილი. ძველქართულ ვაზის ჯიუ „ჯვარს“ ყოველად უვარგის ჰიბრიდ „ჯვარისასთან“ არაფერი აქვს საერთო).

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ვაზის ჯიუ „ჯვარს“ ფუნქციონალურად მდებრობითი ყვავილები აქვს. ესე იგი უბრალო ენით რომ ვთქვათ მდებრობითი ჯიუია. ამგვარი ჯიუები ქართულ ვაზის ჯიუთა სორტიმენტში არაერთია და მათი რიცხვი 50-ს აღემატება. ვაზის მდებრობითი ჯიუები სხვა რომელიმე დამამტვერიანებელი ვაზის ჯიუის გაირეშე ძალზე მცირე მოსავლით ხასიათდება და შესაძლოა ყურძნის მოსავალი არც კი მოგვეცეს. ამიტომ ვენახის გაშენების დროს მდებრობითი ვაზის ჯიუებს დამამტვერიანებელ ვაზებს შორის რგავენ. დამტვერიანება, ცხადია, ვაზის ყვავილობის დროს ხდება და აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი გასათვალისწინებელი და კერძოდ ის, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს გასაშენებელი ვაზის ყვავილობის ზუსტი დრო და ვენახიც ამის მიხედვით უნდა გაშენდეს, რათა ვაზის ჯიუების ყვავილობა ერთმანეთს დაემთხვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე არაუფექტური იქნება და მდებრობითი ვაზიც მოსავალს არ მოგვეცემს. სწორედ ამგვარი მიდგომით, მაგალითად, ქართლში ჩინებულის (ჩინური) ვენახებში შიგადაშიგ რგავენ თავკვერს, რომელიც ასევე მდებრობითი ვაზია. ამ ორი უკანასკნელი ვაზის ყვავილობის პერიოდი ერთმანეთს იდეალურად ემთხვევა და შესაბამისად თავკვერის მო-



ზომიერი სისქისა. მარცვალს გემო ძალიან გემრიელი აქვს, ამასთან მწკლარტე. „ჯვარი“ აშკარად საღვინე მიმართულებიანა. მართალია მისი მარცვალი საკმაოდ გემრიელია, მაგრამ ის სასუფრე ვაზის არცერთ პარამეტრს არ აკმაყოფილებს. ჯიში ხასიათდება საშუალო ან საშუალოზე დაბალი მოსავლიანობით. მისი საშუალო საჰექტარო მოსავალი 5 ტონამდე ადის. ჩვეულებრივ პირობებში ჯიში „ჯვარი“ აგროვებს 18-20% შაქრიანობას. ვაზი სოკოვანი დაავადებებისა და განსაკუთრებით კი ნაცრის მიმართ საკმაოდ მგრძობიარეა და ამ მხრივ ის საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ ჯიშის ვაზის ფოთლები საშუალოზე დიდი და ხშირად შესაძლოა იყოს ძლიერ დანაკეთული. ზრდასრული ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ სუსტადაა შეზუსული ჯავრისისმაგვარი ბუსუსით.

სავალიც გარკვეულწილად რეგულარულია. ამ გარემოების გათვალისწინებით ვენახის გაშენების დროს, თუკი საქმე გვაქვს მდედრობით ჯიშებთან, საქმის ძირეული შესწავლაა საჭირო!

რაც შეეხება „ჯვარის“ დანარჩენ მახასიათებლებს, ასეთია: მისი მტევანი საშუალო ან მომცროა, კონუსური ფორმისა. მტევანი ხშირად გვხვდება დატოტვილი და მეჩხერიც. მარცვალი მრგვალი ან მომრგვალოა და არის ჩალისფერი სასიამოვნო შეფერვისა. მარცვალი საკმაოდ წვნიანია, მისი კანი კი

კუთრებით კი ნაცრის მიმართ საკმაოდ მგრძობიარეა და ამ მხრივ ის საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ ჯიშის ვაზის ფოთლები საშუალოზე დიდი და ხშირად შესაძლოა იყოს ძლიერ დანაკეთული. ზრდასრული ფოთლის ქვედა მხარე ძლიერ სუსტადაა შეზუსული ჯავრისისმაგვარი ბუსუსით.

ჯვარის ღვინო საკმაოდ სხეულიანია. ღვინის შეფერილობა მოოქროსფრო ქარვისფერია, ხალისიანი ღვინოა ნაზად გამოხატული არომატით. ღვინის დაყენების დროს სასურველია, თუ შე-

ირჩევა ჭაჭაზე დადუღებისა და გარკვეული დროით მასზე დაფარების მეთოდი. უდედოთ დაყენებული ჯვარის ღვინო გამოდის ნაკლებმინარსიანი და დაბალი სტრუქტურისა. რთული სათქმელი იქნებოდა ჯვარის ღვინის კახური მეთოდით დაყენების შემთხვევა, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგის მომცემია, მაგალითად, ღვინის დადუღება სრულ ჭაჭაზე და მისი იმავე ჭაჭაზე დაფარება დუღილის ჩათვლით ერთ თვემდე. დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ძველი ქართული ვაზის ჯიში – „ჯვარი“ იმ ჯიშთაგანია, რომელზეც ნამდვილად ღირს ყურადღების გამახვილება. მიუხედავად, ქართლის რეგიონის მაღალმთიან ადგილებში შესაბამისი საღვინე ვაზის ჯიშის მოძიება ბოლო პერიოდში ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს. როგორც ძველი დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, ვაზის კულტურა გარდა ბარისა მთისპირა ადგილებშიც გვხვდებოდა. სწორედ ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს ის, რომ ქართულ ვაზის ჯიშთა სორტიმენტში გვხვდება ისეთი ჯიშები, რომლებიც როგორც სიმაღლეს, ისე ზამთრის მკაცრ სიცივეებსაც ადვილად ეგუებიან.

**გიორგი პარისაშვილი,**  
მცხეთა 2014 წ.

მათივჯეოვა

# საკალმახე მეურნეობის მშენებლობის დაბეგმვა

## სისარტყელა კალმახი და მისი წარმოება

### 1. საკალმახე მეურნეობის მშენებლობის დაბეგმვა

საკალმახე მეურნეობის გულმოდგინედ გაგეგმვა, კარგად მოფიქრებული პროექტი და ზუსტი ტექნიკური გათვლები უნდა გახდეს კალმახის გამოზრდის საუკეთესო პირობების შექმნის გარანტია.

მშენებლობის პირველ ეტაპს ტბორისათვის (აუზებისთვის) სათანადო ფართის შერჩევა წარმოადგენს; აქვე, გასათვალისწინებელია ხარისხიანი და საჭირო რაოდენობის წყლის რესურსის მოძიებისა და მისი შემდგომი რაციონალური გამოყენებისა და განმენდის უზრუნველყოფის საკითხები.

### 2. წყლის ხარისხის მაჩვენებლები ქიმიური შემადგენლობა

წყალი ვარგისია მეთევზეობისათვის თუ ის შესაბამეა შემდეგ მაჩვენებლებს:

- უანგბადით გაჯერება – 80%-ზე მეტი;
- pH 6,5 – 8,2 (7,5 – ოპტიმალური);

ბმე 5 (ბიოქიმიური მოთხოვნა უანგბადზე 5 დღე-ღამეში, რომელიც აუცილებელია წყალში არსებული ორგანული ნაერთების დაჟანგვისათვის) – არა უმეტეს 4 მგ/ლ-ისა;

დაჟანგვა – 15 მგ/ლ-მდე; მეკალმახეობაში გამოყენებული წყალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- რკინის შემცველობა – 0,5 მგ/ლ-მდე;
- ამიაკის შემცველობა – 0,2 მგ/ლ-მდე;
- ნახშირორჟანგის შემცველობა – 0,5 მგ/ლ-მდე;
- წყლის ტემპერატურა**

ცისარტყელა კალმახისათვის წყლის ოპტიმალური ტემპერატურა შეადგენს 14-18 გრადუსს;

25 გრადუსზე ზევით წყლის ტემპერატურის ზრდა მცირე ხნითაც კი მიუღებ-



ლია მეკალმახეობისათვის (22 გრადუსს ზემოთ მნიშვნელოვნად იზღუდება კალმახის გამოზრდის შესაძლებლობები)

### წყლის რაოდენობა

შემდეგი ფაქტორი, რომელიც საპროექტო მეურნეობის საპროდუქციო შესაძლებლობებს განსაზღვრავს არის

წყლის რაოდენობა. წყლის მინიმალური რაოდენობის დადგენა და მისი ხარისხისა და ტემპერატურის შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს კალმახის გამოსაზრდელი ტბორების ფართი.

1 ტონა სასაქონლო თევზის გამოსაზრდელად მაღალი ტემპერატურების პირობებში (ე.წ. „კრიტიკულ“ პერიოდში, ივლის-სექტემბერი), საჭიროა 5-დან 15-მდე ლ/წმ წყლის მოდინების უზრუნველყოფა, რომლის მაქსიმალური ტემპერატურა იქნება 15-22 გრადუსი.

**ჟანგბადის შემცველობა**

ჟანგბადის ბალანსის გაანგარიშება ცნობილია, რომ კალმახი წყლიდან მოიხმარს ჟანგბადის მხოლოდ 40%-ს. ამასთანავე, 20 გრადუს ტემპერატურაზე ჟანგბადის მოხმარება შეადგენს:

- სასაქონლო კალმახისათვის – 0,06 მგ O<sub>2</sub>/კგ თევზი წმ-ში;
- ლიფსიტებისათვის – 0,1 მგ O<sub>2</sub>/კგ თევზი წმ-ში;
- მწარმოებელთათვის და რემონტის ჯოგისათვის – 0,04 მგ O<sub>2</sub>/კგ თევზი წმ-ში;

**თევზის მასის გამოთვლა წყლის განსაზღვრული ხარჯის დროს  $G = Q * O_2 / Z$ ; სადაც,**

- G – თევზების მასაა;
- Q – წყლის ხარჯი ლ/წმ-ში;
- O<sub>2</sub> – ჟანგბადის მისაწვდომი შემცველობა მგ O<sub>2</sub>/ლ;
- Z – ჟანგბადის მოხმარება მგ ზ/კგ თევზი/წამში;

ტბორებში წყლის შემოსადენსა და გასადენში დონეთა მნიშვნელოვანი სხვაობისას ჩნდება მისი ორჯერადი და, რიგ შემთხვევებში, სამჯერადი გამოყენების საშუალებაც კი. მაგალითად, არსებული გამოცდილების მიხედვით, ტბორის გასადენზე, სადაც ჟანგბადის შემცველობა 60%-მდეა შემცირებული, წყლის კასკადის ყოველ 20 სმ ვარდნილზე შეგვიძლია მივიღოთ ჟანგბადის დაახლოებით 1მგ/ლ-ით ზრდა. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ვერ ხერხდება არსებული დონეთა სხვაობის გამოყენება, შესაძლებელია ვისარგებლოთ სხვადასხვა ტიპის აერატორებით.

**3. ცისარტყელა კალმახის გამოზრდა კალმახის ქვირითის ყრა (ტოფობა)**

ცისარტყელა კალმახი მონიფულობას აღწევს 2 წლის (მამრი) და 3 წლის (მდედრი) ასაკში;

კალმახის ნაყოფიერება – 1200-1500 ცალი ქვირითი/მდედრის სხეულის კგ მასაზე;

დღეისათვის შესაძლებელია კალმახის ქვირითის მიღება საქტემბრიდან მაისის ჩათვლით, ხოლო იმპორტირება მთელი წლის მანძილზე;



მდედრის მზადყოფნა ქვირითის დასაყრელად მონმდება ყოველ 7 დღეში.

**ქვირითის აღება**

თევზს ვაძინებთ, ვამშრალებთ და ვათავსებთ ცარიელ ჯამში, კარგი ქვირითი გადაგვაქვს საერთო ჯამში; 10-15 მდედრის ქვირითს ვანაყოფიერებთ 10-15 მამრის სითხით; ვურევთ, ვასხამთ წყალს და ვტოვებთ 5-10 წუთით.

**ქვირითის ინკუბაცია**

ქვირითს აღების შემდეგ ვათავსებთ აპარატში; ქვირითმა თავიდან 100 ათას ქვირითის მარცვალზე უნდა მიიღოს 24ლ/წთ-ში წყალი; შემდეგ კი – 50ლ/წთ-ში.

წყლის ტემპერატურა 4-10 გრადუსი უნდა იყოს; ინკუბაციის დრო 340 გრადუსდღეს შეადგენს.

**ინკუბაცია**

ინკუბაციის დროს ქვირითს ვაცილებთ მკვდარ მარცვლებს;

**აუცილებელი წყლის რაოდენობა (ლიტრებში) კალმახის 3 ბრამიანი ლიფსიტების სპ მასაზე სხვადასხვა ტემპერატურისა და ცვლის სიხშირის დროს**

წყლის ტემპერატურა	წყალი ლიტრებში									
	ცვლის სიხშირე წუთებში					ცვლის სიხშირე წუთებში				
	60	30	15	10	5	60	30	15	10	5
	ლიფსიტა 3-40გრ					თევზი 40გრ ზემოთ				
7	44	22	11	7	3,7	20	11	5,5	4	1,8
10	72	36	18	12	6	36	18	9	6	3
12	90	45	22,5	15	7,5	46	23	11,5	7,5	3,8
14	120	60	30	20	10	60	30	15	10	5
15	134	67	33	22	11	66	33	16,5	11	5,5
16	152	76	38	25	13	78	39	19	13	6,5
18	180	90	45	30	15	90	45	22	15	7
20	228	114	57	38	19	114	57	28	19	9
22	284	142	71	47	24	144	72	36	24	12
24	360	180	90	60	30	180	90	45	30	15

გამოჩეკილი ლიფსიტები ხონჩებში გადაგვყავს და მათ კვებას ვინწყებთ; თავდაპირველად ლიფსიტების ჩასხმის სიმჭიდროვე ხონჩის 1კვ.მეტრზე უნდა იყოს 10 ათას ცალამდე, ხოლო წყლის ხარჯი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 10-40 ლ/წთ-ში.

**ლიფსიტების გამოზრდა**

წყლის ტემპერატურა 30 ჩ უნდა აღემატებოდეს.

ლიფსიტებს 8-12-ჯერ დღეში ვკვებავთ და შემდგომ თანდათან კვების სიხშირეს ვამცირებთ.

ლიფსიტების გამოსაზრდელი აუზი ყოველდღიურად უნდა გაინმინდოს.

თევზების ზრდის პროცესში საჭიროა მათი დახარისხება მოვასხინოთ.

**საკვების დღიური დოზა დამოკიდებულია:**

- თევზების მასაზე;
- ტემპერატურაზე;
- თევზის სიდიდეზე;
- საკვების კალორიულობაზე;

**წყლისა და ჰანგაზის მოთხოვნილება ტომარაში ლიფსიტების გადაზიდვისას (გადაზიდვის დრო 12 საათამდე)**

მასალა		წყლის ტემპერატურა	ლიფსიტების რაოდენობა	
სახეობა	რაოდენობა		წყალი	ჟანგბადი
ლიფსიტა	1000 ცალი	1-5	2	3
		5-10-ზემოთ	4	6
ლიფსიტა	1კგ.	1-5	12	18
		5-10-ზემოთ	16	25
		5-10-ზემოთ	20	35

თუ ცნობილია ეს პარამეტრები, შესაძლებელია ვისარგებლოთ საკვების ცხრილით და გავიგოთ თევზის მოცემულ მასაზე საკვების დოზა %-ში.

კვების ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ მოეძებნოს ე.წ. „ოქროს შუალედი“ საკვების რაოდენობას (რაც განაპირობებს ზრდას) და საკვებ კოეფიციენტს შორის (1კგ საკვები/თევზის მასის 1კგ ნამატი). რაც უფრო დაბალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ხარისხიანია საკვები. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ

– ეს არის თევზი 0,5გრ-დან 80გრ-მდე; ჩასხმის სიმჭიდროვე შეადგენს 10-40 კგ/მ<sup>3</sup>. რაც უფრო მეტია თევზის რაოდენობა, მით მეტია მოთხოვნა წყლის გამდინარეობისა და ხარისხის მიმართ; დასაწყისში ვკვებავთ 6-ჯერ, შემდეგ კი 3-ჯერ დღეში;

**სასაქონლო მეთევზეობა**

სასაქონლო თევზი – ეს არის მოზარდეულიდან 350-1000გრ-მდე და მეტი წონის თევზი;

საკვების ხარჯი შეადგენს პროდუქციის გამოზრდაზე მთლიანი დანახარჯების 50%-ზე მეტს.

**მოზარდეული და სასაქონლო თევზის გამოზრდა**

მოზარდეული

ჩასხმის სიმჭიდროვე შეადგენს 90 კგ/მ<sup>3</sup>-მდე; კვების ინტენსივობა – 3-ჯერ დღეში; პერიოდულად საჭიროა თევზის დახარისხება. დახარისხებამდე მინიმუმ ერთი დღე-ღამით ადრე თევზისთვის საკვების მიცემას ვწყვეტთ.

**პროფილაქტიკა**

- აუცილებელია თევზებს ყოველდღიურად თვალყური ვადევნოთ, უპირველეს ყოვლისა, მათი კვების დროს;
- ცუდი მადა – მეთევზისათვის არის იმის სიგნალი, რომ ის აუცილებლად უნდა ჩაერიოს ტექნოლოგიურ პროცესში;
- როდესაც შეუძლებელია დაავადების მიზეზების დადგენა, საჭიროა საქმეში ჩავრთოთ კომპეტენტური ვეტერინარი;

**მომზადება გასაღებისათვის**

- რეალიზაციის ან ტრანსპორტირების წინ თევზის საყლაპავი მილი უნდა იყოს ცარიელი;
- ამისათვის აუცილებელია 3 დღით ადრე თევზი გადავიყვანოთ სუფთა აუზში ან ტბორში (სადაც იქნება არანაკლებ 15 წუთიანი წყალცვლა) და შევუწყვიტოთ კვება.

**ქვირითისა და თევზის გადაყვანა**

განაყოფიერებული ქვირითი გადააქვთ წყლიანი კონტეინერებით, მაგრამ განაყოფიერებიდან არა უმეტეს 10 საათისა. ქვირითი მარცვლის სტადიაში გადააქვთ წყლის გარეშე, იზოთერმული კონტეინერებით; ლიფსიტები გადაჰყავთ ჟანგბადიანი ტომრებით; ლიფსიტების დიდი რაოდენობისა და სასაქონლო თევზის ტრანსპორტირება ჟანგბადიანი კონტეინერების მეშვეობით ხდება.

*kalmaji.ge*

**წყლის მოთხოვნილება (ლიტრებში) 1კგ თევზის ჰანგაზიანი კონტეინერით გადაყვანისას**

მასალის სახეობა	წყლის ტემპერატურა	გადაყვანის დრო(სთ)									
		2	4	6	8	10	12	14	16	18	20
		წყალი ლიტრებში									
ორაგულის და ცისარტყელა კალმახის ლიფსიტები	1-5	8	8	9	9	10	10	10	11	11	12
	5-10-ზემოთ	9	9	10	10	11	11	11	12	12	13
	5-15-ზემოთ	10	10	11	11	12	12	13	14	14	15
ცისარტყელა კალმახის ლიფსიტები და ორაგულის მწარმოებლები	1-5	7	7	8	8	9	9	9	10	10	11
	5-10-ზემოთ	8	8	9	9	10	10	10	11	11	12
	5-15-ზემოთ	9	9	10	10	11	12	12	13	13	14
ცისარტყელა კალმახის რემონტი და მწარმოებლები	1-5	6	6	7	7	8	8	8	9	9	9
	5-10-ზემოთ	7	7	8	8	9	9	9	10	10	11
	5-15-ზემოთ	15	17	19							

**შემოდგომაზე თუთის გაუნაჯავი ფოთლიდან არაბრადისიული საკვების (ნეკერის) დაგზავნის პერსპექტივები**

გვიწვევართა მოსაზრებით მრავალმხრივი გამოყენების თვალსაზრისით თუთა ერთ-ერთი პირველია.

საუპუნეთა მანძილზე აკაცობრიობა თუთის სასარგებლო თვისებას სახალხო მუხრანოვის თითქმის ყველა სფეროში აქტიურად იყენებდა.

საქართველოს დამპყრობლები ხალხის დამონებასა და ქვეყნის ეკონომიკურ გაჩანაგებას თუთის ნარგაობის გაჩენით ცდილობდნენ.

ისლამური სამყარო თუთის თაყვანისცემის ტრადიციით გამოირჩევა. მეაბრეშუმეობის ცნობილი მკვლევარის ს. სალიმდჟანოვის თქმით, თუთის ნაყოფი ისეთივე აუცილებელია ტაჯიკებისათვის, როგორც ბრინჯი – ჩინელისათვის, კარტოფილი – რუსისათვის და ა.შ.

საქართველოში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში (ასპინძა, ადიგენი, ახალციხე) თუთის მრავალმხრივი გამოყენების მდიდარი ტრადიცია არსებობს. გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში 320 ცენტ-



ნერი საექსპორტო თუთის თესლი მზადდებოდა, ძირითადად მარნეულის (შულავერი) – 83%, ლაგოდეხის, ხობის, გურჯაანის, სენაკისა და აბაშის რაიონებში.

დღეს ჩვენ არ შეგვხვებით თუთასთან დაკავშირებულ მთავარ დარგს, ამჯერად შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის მეცხოველეობაში (არატრადიციული) საკვებად (ნეკერი) გამოყენების შესაძლებლობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოგიხსნებოდა.

საშუალოდ, როგორც ცნობილია, 1000 ტონა აბრეშუმის ცოცხალი პარკის სანარმოებლად საშუალოდ 20 ათასი ტონა ქორფა ფოთოლი იხარჯება. შემოდგომაზე ზრდასრული გაუხეშებული ფოთლების საერთო მასა გაცილებით მეტია, ვიდრე ქორფა ფოთლებისა, რომელიც უქმად იკარგება.

ჩვენი გაანგარიშებით, შემოდგომაზე გაუხეშებული 20 ათასი ტონა ფოთლის საერთო მოცულობის 40% რომ დავამზადოთ, 8 ათას ტონა ნედლეულს მივიღებთ, რაც 4 ათასი ტონა (50%) მშრალი ნივთიერების ანუ 2,7 ათასი ტონა (0,68%) სრულფასოვანი საკვები ერთეულის ტოლფასია. საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც ნათელია ქვეყნის მეცხოველეობის საკვები ბალანსის გასაუმჯობესებლად ეს რასაც ნიშნავს.

მოტანილი მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთოლი სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით მარტო მდელის თივას კი არ აჭარბებს, არამედ სამყურას და იონჯას შესაბამის მაჩვენებლებსაც კი 20,4 - 20,5%-ით აღემატება.

შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის მეცხოველეობაში საკვებად (ნეკერი) გამოყენების მიზნით პირველად დაზვერვითი სამუშაოები გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში აჭარაში, ქედის რაიონის სოფ. მერისში დაიწყო. შეისწავლეს ნეკერის დამზადების (რცხილა, ნიფელი, ცაცხვი) ტრადიციები, ცხოველთა კვების წესი, საიდანაც საკვების ბალანსის მკაცრი დეფიციტის შევსების საქმეში მისი როლი განისაზღვრა.

ნეკერის დამზადების ტრადიციული წესების გაცნობის შემდეგ შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის ქიმიური შედგენილობის შესწავლა 1997 წელს მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში დაიწყო.

ლაბორატორიას მართალია მეცხოველეობისათვის საკვების წარმოებასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა, მაინც საყურადღებო მასალების მოპოვება მოხერხდა. სახელდობრ, შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლის კვებითი ღირებულება რამდენიმე დასახელების (საერთო ტენი, მშრალი ნივთიერება, უჯრედანა, ნედლი ცხიმი, საერთო შაქარი, საერთო აზოტი, პროტეინი, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება, ნაცარი) მახასიათებლად განისაზღვრა.

მართალია, წარმოდგენილი მასალები სრულყოფილი არ იყო, მაგრამ მაინც შესაძლებლობა მოგვეცა შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის მეცხოველეობაში არატრადიციული (ნეკერი) საკვები წარმოების დაწყების შესაძლებლობაზე გვეფიქრა.



ცხრილში მოტანილი მასალებიდან გაირკვა, რომ გვიან შემოდგომაზე ფოთლის ქიმიური შედგენილობა (დამზადების ვადების გათვალისწინებით) ერთგვარად იცვლებოდა, მაგრამ მისი გამოყენება ყოველმხრივ გამართლებულია.

მთიან აჭარაში ნეკერის არატრადიციული ნედლეულის მომზადების მიზნით ქედის რაიონის სოფ. მერისში ფერმერ გ. თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე 25 ძირი თუთის მცენარე (გრუზია, ნატა, ტრიპლოიდი) გაშენდა.

სოფელ მერისში გაშენებული ნარგაობის შემოდგომაზე თუთის ფოთლის ანალიზების საფუძველზე მიღებული დასკვნები შემდგომი მუშაობის გაგრძელების აუცილებლობაზე მიგვითითებს, რაც წარმატებით მიმდინარეობს და საუკეთესო შედეგებით დასტურდება.

ქედის რაიონის სოფ. მერისში შერჩეული თუთის ჯიშების ნაყოფის შეგროვება (განსაკუთრებით ტრიპლიტი 13) და შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლებისაგან ნეკერის დამატების მიმართებით ჩატარებული სამუშაოების შედეგები მოსახლეობისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა.

ექსპერიმენტი ნეკერის ტრადიციული ნედლეულის (ნიფელი, ცაცხვი, რცხილა) თუთის გაუხეშებული ფოთლით შეცვლა ფერმერ მეკვლად თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული მცენარეების ბაზაზე პირველად ჩატარდა. შედეგები თვალსაჩინო იყო და მეზობელი ფერმერებიც დაინტერესდნენ. მათ დახმარებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართეს.

სოფელ მერისის გამგებლის მინისტრისადმი მიმართვაში მითითებული იყო, რომ ზემო აჭარა „გამოირჩევა მცირემიწიანობით და წყლისმიერი ეროზიის მაღალი დონით, რაც მკვეთრად ამცირებს სასურსათოდ საკვები კულტურების გავრცელების შესაძლებლობას – მოსავლიანობას. ადგილობრივი მოსახლეობა მეცხოველეობის საკვები ბაზის დანაკლისის შევსების მიზნით ტრადიციულად იყენებდა ნეკერის ზამთრის პერიოდში გამოსაყენებლად“. პრაქტიკულად დამტკიცდა ნეკერის დასამზადებლად “თუთის ერთწლიანი ნაზარდი ტოტების” მაღალი კვებითი ღირებულება და სიიაფე.

შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლის ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები

№	ნიმუშის დასახელება	ნიმუშის აღების დრო	მშრალი ნივთიერება %	საერთო ტენი %	ჰაერმშრალი თუთის ფოთლის კომპონენტი-%						
					უჯრედანა	ნედლი ცხიმი	საერთო შაქარი	საერთო აზოტი	პროტეინი	უენ	ნაცარი
1	გრუზია (ნაკვეთი 1)	20/X 1997წ.	42,09	57,91	10,6	26,2/0,62	2,38				13,75
2	ნაკვეთი 2	20/X 1997წ.	37,64	62,36	14,5	45,0/1,1	2,11				12,83
3	ნაკვეთი 3	20/X 1997წ.	33,95	66,05	12,4	35,6/1,07	2,71				12,14
4	გრუზია (ნაკვეთი 1)	3/XI 1997წ.	37,75	62,4	14,5	24,3/0,64	2,5				22,61
5	ნაკვეთი 2	20/XI 1997წ.	37,74	62,26	13,8	44,0/1,1	2,6				24,23
6	ნაკვეთი 3	30/XI 1997წ.				მცენარეზე ფოთლები უკვე აღარ იყო					

**შამოდგომავა მითითებული ნაკვეთიდან აღებული თუთის გაუხეზავალი ფოთლის ბიოლოგიური ანალიზი (2010 წელი)**

№	მშრალი ნივთიერება	პროტეინი	უჯრედანა	ცხიმი	უენ	ნაცარი	P	Ca	მონელებადობა %				
									ენერჯის	ნ. პროტეინი	ნ. ცხიმი	უჯრედანა	უენ
1	860	136	27	248	418	118	3,2	11,8	68	69	57	66	72
2	850	143	31	251	423	123	3,1	11,2	61	63	54	61	67

სამინისტრომ პრობლემის მოგვარების მიზნით დახმარებისათვის საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტს მიმართა. რექტორის ნებართვით შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის პროექტის („საქართველოს თუთის გენოფონდის დაცვა; მაღალპროდუქტიული, მიკოპლაზმური დაავადებებისადმი მედეგი ჯიშების გამოყვანა, დარაიონება და გავრცელება ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით“) ფარგლებში აჭარაში, ფერმერულ მეურნეობაში გაიგზავნა თუთის ნერგები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დღესაც გრძელდება.

მიმდინარე ეტაპზე მუშავდება საგრანტო თემა: “თუთის (Monus) მრავალმხრივი გამოყენების მიზანშეწონილობა და

ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებში” (ხელმძღვანელი თ. დალალიშვილი) და კარგი შედეგებია მიღებული.

**ბ. ნიკოლიშვილი,**

*სსმმ აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

**მ. შაფაძე,**

*სსმმ აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

**თ. დალალიშვილი,**

*სოფლ. მეურნ. აკადემიური დოქტორი.*

**სიახლე ქართულ ბაზარზე**

**ADRIATIKA - კომპანია, რომლის ქმნის ინოვაციურ პროდუქტს თქვენი წარმატებისთვის**

**აღრიბიტკა იტალიური კომპანიაა, რომელმაც უარი თქვა ენარმობინა ტრადიციული ქიმიური კომპლექსური სასუქები და მსოფლიო ბაზარზე სასუქის ახალი სტანდარტი შეიმუშავა, რომელმაც ევროპასა და აზიაში წარმატებით დაიმკვიდრა სახელი.**

ახალი სტანდარტი მოიცავს სასუქის შემდეგ ფორმებს: **N-GOOO**, გროსტარტი, ვინეტო ფუტეტო და ა.შ. იგი არის გრანულირებული ფორმის.

თითოეული სასუქი შეიცავს დამატებით ნივთიერებას (დიცინამიდი), რომელიც ხელს უწყობს ნიადაგში აზოტის შეკავებას (ფიქსაციას). შესაბამისად აზოტი გარდაიქმნება მცენარისთვის იოლად შესათვისებელ ფორმად. სასუქი ასევე შეიცავს გოგირდს, რომელიც მონაწილეობს დაჟანგვით პროცესებში. ქლოროფილის შექმნასა და ფოტოსინთეზში. იგი შედის ცილების შემადგენლობაში, რომელიც ამინომჟავების ბიოსინთეზის ერთ-ერთი საწყისი პროდუქტია. ეს მახასიათებელი მას აძლევს დიდ ეფექტს, რაც გამოარჩევს ყველა სხვა მსგავსი კონკურენტი პროდუქტებისაგან.

**N-GOOO 30 + 36% SO<sub>3</sub>**  
**N-30, NH<sub>4</sub> -13.5 NH<sub>2</sub> — 16.5, SO<sub>3</sub> — 36, DCD -2.5**

გამოიყენება ნიადაგის გასანოყიერებლად, როგორც აზოტოვანი სასუქი დამატებული გოგირდის ანჰიდრიდი შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში: ხახვი, შაქრის ჭარხალი 300

– 400 კგ/ჰა; პამიდორი – 400-500 კგ/ჰა; კარტოფილი – 300-500 კგ/ჰა; ხორბალი, სიმინდი – 400-600 კგ/ჰა;  
**N-P-K 10-05-15 (2% MgO -28% SO<sub>3</sub>) +0.1 %B**

გამოიყენება როგორც ნიადაგის სასუქი შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში: ატამი, ალუბალი, გარგარი, ქლიავი 400 – 800 კგ/ჰა;

კივი – 600-800 კგ/ჰა; ვაზი, მსხალი 400-800 კგ/ჰა; ვაზი – 400-500 კგ/ჰა

**N-P-K 10-06-18 (3% MgO -33% SO<sub>3</sub>) +0.1 %B**

გამოიყენება როგორც ნიადაგის სასუქი შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში: პამიდორი, კარტოფილი – 600-800 კგ/ჰა;

ატამი, ალუბალი, გარგარი, ქლიავი, ვაზი, მსხალი – 400-800 კგ/ჰა; კივი 600-800 კგ/ჰა; ვაზი – 400-500 კგ/ჰა

**Grostart NP 8-41** მიკროელემენტებით **N—8, NH<sub>4</sub>— 8, P<sub>2</sub>O<sub>5</sub> — 41, B-0.2, Cu -0.5, Fe-0.5, Zn-0.8**

იგი გამოიყენება ნიადაგის სასუქი შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში: პამიდორი, კარტოფილი, ვაზი, მზეხუმბირა – 50-75 კგ/ჰა

ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, სორგო – 25-50 კგ/ჰა

**შენიშვნა:** სასუქის შეტანისას არ გამოიყენება წყალი. პროდუქტი უნდა ჩაიყაროს თესლთან ახლოს თესვის დროს, მცენარის სწრაფი ზრდისთვის.

**Grostart NP 10-40** მიკროელემენტებით **N—10, NH<sub>4</sub>—10, P<sub>2</sub>O<sub>5</sub> — 40, Cu -0.5, Fe-0.5, Zn-0.8 DCD -2.5**

იგი გამოიყენება ნიადაგის სასუქად შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში:

ვაზი, ვაშლი, მსხალი – 30-60 კგ/ჰა; თამბაქო, ჭარხალი – 30-60 კგ/ჰა

ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, სორგო – 25-50 კგ/ჰა

**შენიშვნა:** სასუქის შეტანისას არ გამოიყენება წყალი. პროდუქტი უნდა ჩაიყაროს თესლთან ახლოს თესვის დროს, მცენარის სწრაფი ზრდისთვის.

**NPK 8-24-24**  
**N-8, NH<sub>4</sub> -8, P<sub>2</sub>O<sub>5</sub> -24, K<sub>2</sub>O — 24**

გამოიყენება, როგორც უნივერსალური ნიადაგის სასუქი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში

**NPK 15-15-15 (5% SO<sub>3</sub>)**  
**N-15 , NH<sub>4</sub> -3.5, NH<sub>2</sub> -11.5, P<sub>2</sub>O<sub>5</sub> -15, K<sub>2</sub>O — 15, SO<sub>3</sub> — 5**

გამოიყენება, როგორც უნივერსალური ნიადაგის სასუქი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში

# WORLD TECHNIC

მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)

 2 90 50 00 2 18 18 81

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და  
ტექნოლოგიების მომწოდებელი ლიდერი კომპანია!



# VALTRA

ინდივიდუალურად თქვენთვის



**ვალტრას ტრაქტორები -  
A სერიის კომპაქტური მოდელები  
ინდივიდუალურად თქვენთვის**



ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
სსიპ **სსიპ** **სსიპ**  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

**AG** ალიანს ჯგუფი  
**ლიონი**

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ  
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად